



ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



გურიას უსუფავებელი

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenashvili

პროექტის კოორდინატორი
რუსულან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsauri

ტექსტი
ზურაბ უსუფაშვილი

TEXT
Zurab Usupashvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქტორი
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზალ მიჯაფარძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
გიგა გურასაშვილი, ბადრი კეთილაძე, ზურაბ უსუფაშვილი,
გიორგი ჭანიშვილი, www.sportphoto.ge

PHOTO
**Giga Gurasashvili, Badri Ketiladze, Zurab Usupashvili,
Giorgi Chanishvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ძიუდოს ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Judo Federation**

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

ირაკლი ცირეპიძე

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION



ტატამზე გაკრულმა რუსმა ფალავანმა თავზე ხელი შემოირტყა. მიხვდა, ველარ გაექცეოდა ქართველის მარწუხებს და წაგებას შეურიგდა. ქართველს კი მზერა სადღაც დარბაზის სივრცის კენ თუ ტატამის კიდის კენ გაექცა. ერთბაშად მთელი ცხოვრება დაუდგა თვალწინ. გაახსენდა თავისი ოჯახი, გარდაცვლილი ძმა, რომელიც, როგორც მწვრთნელი ეტყოდა, მის გამარჯვებებს იმ ქვეყანაში ელოდა. მწვრთნელი გაახსენდა, რომელიც სულ ეჩუბებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მისი სჯეროდა. აგრე, შრომაში და შვილებზე ფიქრში ჭალარაშე-პარული მშობლები, მუდმივად გვერდში მდგომნი და მზრუნველნი, რომელთა რჩევითაც გადაიფიქრა სპორტის თავის დანებება. გაახსენდა ბავშვობა, როდესაც ვარჯიშისას ხშირად ესუმრებოდა თანატოლებს, შენი თავი შემაბოჭინა ლიმპიადის ნახევარფინალში. მარტოდ დარჩენილი კი სწორედ ამას ნატრობდა. ნატრობდა, რომ ოლიმპიადის ნახევარფინალში (მაინცდამაინც ნახევარფინალში) გასულიყო და მონინაალმდეგე იქ შეებოჭა. ახლა ეს ნატვრა უსრულდებოდა. უნდოდა, კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო ეს ოცდახუთი წამი. ისიც კი გაიფიქრა, მეტოქეს ხელი ხომ არ გავუშვა და მერე ისევ შევბოჭოო, მაგრამ გონება ამის უფლებას არ აძლევდა. თვალწინ დაუდგა ომში ჩაბმული საქართველო, რომელსაც შორეული პეკინიდან ვერაფრით ეხმარებოდა და რაკი ასე იყო, „თავისი წილი ომი“ ტატამზე უნდა გადაეხადა, სწორედ რუს მეტოქესთან ჭიდილში. კიდევ უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელები მონინაალმდეგეს, თითქოს მის დაჭმუჭვნას აპირებდა, თითქოს მთელი ქვეყნის ჯავრი მასზე უნდა ეყარა. იცოდა, რომ ამ შეხვედრას მთელი საქართველო გულისფანცქალით ელოდებოდა და ეს გამარჯვება ბევრად მეტი იყო, ვნენტ თუნდაც ოლიმპიადის ფინალში გასვლა. ისიც გაახსენდა, ორიოდ დღის წინ, სწორედ სამაჩაბლოში გაჩაღებული ომის გამო, ქართული დელეგაცია ოლიმპიადის დატოვებას რომ აპირებდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყდა, რომ დარჩენილიყვნენ. არადა, პეკინიდან დროზე ადრე რომ წასულიყვნენ, ამ ბედნიერ წუთებს ველარ ეღირსებოდა... უამრავი რამ უტრიალებდა თავში.

— იპონ, სორომატე, — შესძახა მსაჯმა. ამ დროს ის რუსი გულშემატკივრები გაახსენდა, რამდენიმე წუთის წინ „ვანიას“ რომ სკანდირებდნენ. ესეც თქვენი ვანიაო, გაიფიქრა და ფეხზე წამომდგარმა, ორივე ცერა თითი ზურგზე გაეთებული წარწერის კენ მიმართა, სადაც ლათინური ასოებით ეწერა: Tsirekidze, GEO.





პეკინის ოლიმპიადის გახსნის ცერემონია და ომი სამაჩაბლოში თითქმის ერთდროულად დაიწყო. უკვე მერამდენე ოლიმპიადაა, ძიუდოსტების შეჯიბრება გახსნის ცერემონიის მომდევნო დღეს იწყება. პეკინში მყოფი ქართველებიდან ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ სამაჩაბლოში ნამდვილი ომი გაჩაღებულიყო. თავიდან მორიგი პროვოკაცია ევონათ, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ასე მიაჩვის რუსმა „მშვიდობისმყოფელებმა“ თუ ოსმა სეპარატისტებმა. ინფორმაციას სამაჩაბლოში საბრძოლო მდგომარეობის შესახებ, სერიოზულად არ აღიქვამდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ რამდენიმე გასროლის შემდეგ სიტუაცია დაწყნარდებოდა და ცხოვრებაც ჩეული რიტმით გაგრძელდებოდა.

როგორც წესი, ძიუდოსტებიდან ტატამზე პირველები მსუბუქ წონაში მოასპარეზნი გადიან. უკვე მესამე ოლიმპიადაა, ამ წონაში საქართველოს ღირსებას წესტორ ხერგიანი იცავდა. წესტორმა წინა ოლიმპიადის ფინალში იჭიდავა, მაგრამ ამჟერად იმ შედეგთან მიახლოებაც კი ვერ შეძლო. იმავე საღამოს ქართულ დელეგაციაში ოლიმპიადის დატოვების შესახებ ალაპარაკდნენ. ოლიმპიურ სოფელში გვიანობამდე ბჭობდნენ, არ წყდებოდა სატელეფონო ზარები თბილისიდან. ბოლოს, გვიან ღამით, სახელდახელო შეკრებაზე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საქართველოს დელეგაციას ოლიმპიადა უნდა დაეტოვებინა. გადაწყვეტილება იმდენად მტკიცე ჩანდა, რომ ყველამ, მათ შორის ძიუდოისტებმა და მათმა მწვრთნელებმაც ირწმუნეს ეს ამბავი. ცოტა ხანში, დაახლოებით, საათნახევარში, ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ოლიმპიურ სოფელში ხელახლა შეკრებილ ქართულ დელეგაციას ახალი გადაწყვეტილების შესახებ აცნობეს: „ვრჩებით!“

მკითხველს, ალბათ, არ გაუჭირდება იმის წარმოდგენა, რა ხდებოდა ამ დროს ჩვენს დელეგაციაში, როგორ ფსიჟილოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქართველი ოლიმპიელები. ამას დაემატა წმინდა ფიზიკური პრობლემებიც: რამდენიმე ჩვენმა ძიუდოისტებმა, მათ შორის — ზაზა კედელაშვილმა და დავით ქევხიშვილმა, ვიდრე დარჩენის შესახებ ინფორმაციას მოისმენდნენ, რაკი წონის შენარჩუნებას აზრი დაეკარგა, ოლიმპიური სოფლის სასადილოში შესვლა და წყურვილის მოკვლა მოასწრეს. არადა, მთელი ერთი თვე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ და თითოეულ ზედმეტ გრამს მკაცრად აკონტროლებდნენ. თუმცა ეს ტანჯვა-წვალება ამაო გამოიდგა — კედელაშვილს ზედმეტი სამი კილო აღმოაჩნდა, ქვეშიშვილსაც დაახლოებით ამდენი. მოკლედ, უაღრე-

სად კრიტიკული ვითარება შეიქმნა: კედელაშვილს დილაადრიან, რამდენიმე სა-ათში უწევდა წონის ჩაბარება, მერე კი ტატამზე გასვლა, ქევხიშვილს კი მომ-დევნო დღეს უნდა ეჭიდავა. ექიმებმა სასწრაფო ზომებს მიმართეს, კედელაშ-ვილიც დაყვა მათ ნებას, უკიდურესი თავგამოდების ფასად მოიშორა ზედმეტი კილოგრამები, მაგრამ უძილი ღამემ და არაადამიანურმა ფიზიკურმა დატვირ-თვამ გამოიფიტა და ძალა გამოცაცალა.

პირველ მეტოქედ ძალიან ძლიერი ძიუდოისტი, კარგად ნაცნობი უნგრე-ლი მიკლოშ უნგვარი ჰყავდა, რომელსაც სამი თვით ადრე ევროპის ჩემპიონა-ტის ფინალში სძლია. ზაზა დასაწყისში უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ შემდეგ დაღლილობაში იჩინა თავი და არაქათგამოცლილი, დამატებით დროში დამარ-ცხდა. მომდევნო დღეს, მეორე წრეში დამარცხდა დავით ქევხიშვილიც, მას მიჰყვა საბა გავაშელიშვილი. ძიუდოისტთა გუნდი თითქოს ფსიქოლოგიურად მოიშალა. ინფორმაცია საქართველოში ომის მიმდინარეობის შესახებ სპორ-ტსმენებზე სულ უფრო მძიმედ მოქმედებდა. ოთხი დღის განმავლობაში ოთხმა ქართველმა ძიუდოისტმა ჯამში მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ამიტომ გაჩნდა შიში, რომ შეიძლებოდა ქართველ ძიუდოისტებს ოლიმპიადა უმედ-ლოდ დაეტოვებინათ.

არადა, ძიუდო ქართული სპორტის ერთადერთ სახეობად რჩება, სადაც ქართველები ოლიმპიადიდან სამშობლოში მედლის გარეშე არ ბრუნდებოდნენ. ძიუდო ოლიმპიადის პროგრამაში პირველად 1964 წელს ტოკიოში გამოჩნდა. ფარნაოზ ჩიკვილაძემ და ანზორ კიუნაძემ ამ ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლე-ბი მოიპოვეს. 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ძიუდო არ ყოფილა. 1972 წლიდან კი სპორტის ეს სახეობა, ოლიმპიადების პროგრამაში მუდმივადა. ამ ოლიმპიადაზე შოთა ჩოჩიშვილი ჩემპიონი გახდა, გივი ონაშვილი კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. 1976 წელი — რამაზ ხარშილაძე — ვერცხლი, შოთა ჩოჩიშვილი — ბრინჯაო, 1980 წელი — შოთა ხაბარელი — ოქრო, თემურ ხუბულური — ვერცხლი. 1984 წლის ოლიმპიადას საბჭოთა კავშირმა ბოიკოტი გამოუცხადა და შესაბამისად ლოს-ანჯელესში ასპარეზობა ვერც ქართველებმა შეძლეს. 1988 წელი — ამირაზ ტოტიკაშვილი, ბრინჯაო, გიორგი თენაძე, ბრინ-ჯაო. 1992 წელი — დავით ხახალეშვილი, ოქრო; 1996 წელი — სოსო ლიპარტე-ლიანი, ბრინჯაო; 2000 წელი — გიორგი ვაზაგაშვილი, ბრინჯაო; 2004 წელი — ზურაბ ზვიადაური, ოქრო; ნესტორ ხერგიანი — ვერცხლი.



...პეტრიში ჯერ კიდევ არ ეასპარეზათ ირაკლი ცირეკიძეს, ლევან უორუოლიანსა და ლაშა გუჯეჯიანს, მაგრამ ოთხი დღის შედეგების შემყურე გულშემატყიფარი იმედინად მაინც არ იყო. საქართველოს სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი გურამ რატიშვილი კი ცირეკიძეზე ამბობდა: „მაგას ხომ ნერვები არ აქვს, შეუძლია ჩემპიონობა“.

* * *

ზურაბ ცირეკიძემ ქუთაისში დიდი ხნის ნანატრი ბინა მიიღო. ოჯახი ტოვებდა ახალსოფელს და საცხოვრებლად იმერეთის მთავარ ქალაქში გადადიოდა. ამით ბოლო მოედებოდა თხუთმეტწლიან ყოველდღიურ მგზავრობას სამსახურში ტყიბულიდან ქუთაისში. ცოლა რომ მოიყავანა, უფრო მეტი ენერგიით დაიწყო მუშაობა, მაგრამ გზას ბევრი დრო მიჰქონდა. სანამ დაოჯახდებოდა, სამსახურისკენ გზა ასე გრძელი და ხანგრძლივი არ ეწვენებოდა. ქუთაისის ხორცკომბინატამდე მგზავრობას დაახლოებით საათნახევარს ანდომებდა. როცა ოჯახს მოეკიდა, სულ უფრო მეტად ფიქრობდა ქუთაისში საცხოვრებლად გადასვლაზე.

ზურაბის მეუღლეს, ქალბატონ ზეინაბს გათხოვების შემდეგ სამსახურის-თვის თავის დანებება მოუნია. თერჯოლის სამშობიაროში ექთნად მუშაობდა, მაგრამ ახალსოფლიდან თერჯოლაში სიარული იოლი არ აღმოჩნდა. არადა, უსამსახუროდ ვერ იქნებოდა, რადგან მხოლოდ ქმრის ჯამაგირი ოჯახისთვის საკმარისი არ იყო და მანაც საბუშაო სახლთან უფრო ახლოს მონახა. შვილები რომ ეყოლა, სამსახურს მაინც ვერ შევლია, სტაჟი გაგინყდებაო ეუბნებოდნენ. სამუშაო დღეები მოიკლო და ბავშვებს უფრო მეტ დროს უთმობდა.

უფროისი ვაჟი ბესო ოთხი წელი ახალსოფლის სკოლაში დადიოდა. რაკი ქუთაისს და ახალ გარემოს ჯერ კიდევ შეგუებულები არ იყვნენ, უმცროსი ირაკლიც თავიდან სოფლის სკოლაში მიიყვანეს, ხოლო როცა ზამთარმა მოატანა, სასწავლებლად ქუთაისის 38-ე სკოლაში გადაიყვანეს. იმ დროს სპორტულ ჯგუფში ვარჯიში ჩვეულებრივი ამბავი იყო. ბესომ და მისმა თანატოლებმაც თავისუფალ ჭიდაობაზე სიარული გადაწყვიტეს. კლასელები თუ მეზობლები შეიკრიბებოდნენ და ერთად დადიოდნენ საჭიდაო დარბაზში. ირაკლიც თან დაჲყავდათ, პარალელურად ჭადრაკითაც იყო გატაცებული. ასე გაგრძელდა სამი თვე. საჭიდაო დარბაზი საკმაოდ შორს იყო და ბიჭებს





10 ნდის ირაკლი
ცირეკიძე (მარცხნივ)
თანაკლასელებთან

ძირითადად ტროლეიბუსით უხდებოდათ მგზავრობა. მერე ჭიდაობის სექცია დაიხურა და ირაკლი მთლიანად ჭადრაკზე გადაერთო, თუმცა დიდხანს ვერც ჭადრაკს შემორჩია.

იმ პერიოდში ავანგარდში (ასე ეძახიან უბანს ქუთაისში, სადაც ცირეკი-ძეები ცხოვრობენ) ჯერ კიდევ მშენებლობები იყო გაჩაღებული. ცოტა ხანში მწყობრში ჩადგა სკოლის ახალი შენობა და დღის წესრიგში დადგა სახლთან უფრო ახლოს მდებარე სკოლაში გადმოსვლა. სპორტული სკოლა-ლიცეუმი — ასე ეძახდნენ ქუთაისში ახლადგახსნილ სკოლას. აქ თავიდანვე რამდენიმე სპორტული სექცია ამოქმედდა და მოსახლეები ვალდებული იყვნენ რომელიმე სექციაში ჩაწერილიყვნენ. მათ არჩევანი კრიკეთი, ფარიკაბას, კალათბურთს, ძიუდოსა და ჭადრაკს შორის უნდა გაეკეთებინათ. ირაკლის ყველაზე მეტად ფეხბურთი იზიდავდა, მაგრამ რადგან სკოლა-ლიცეუმში ფეხბურთის სექცია არ არსებობდა, კრიკეთის სექციაში ჩაეწერა, თუმცა მალე მობეზრდა ხელების ქნევა და კრიკეთის თავი მიანება. მერე უფროსი ძმისა და რამდენიმე თანაკლასელის მსგავსად, ძიუდოს სექციაში ჩაერთო. ძიუდოისტებს დაზმირ ონიანი ავარჯიშებდა. მაგ დროს ოლიმპიადა რა იყო, გაგონილიც არ ჰქონდა. შემდეგ ოლიმპიადაში გაიგო და ისიც, რომ მათ ქალაქში ცხოვრობდა ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი.

ქვეყანაში რთული პერიოდი იდგა. ქუთაისში ტრანსპორტი თითქმის არ მოძრაობდა. არ იყო ტაქსი, ავტობუსი, მსუბუქი მანქანაც იშვიათად გაიღლიდა, რადგან ქვერდობა და ყაჩალობა ჩვეულებრივი ამბავი გახდა. მხოლოდ ტროლეიბუსი დადიოდა, ისიც იმიტომ, რომ ვინმე ვერ მოიპარავდა და ვერსად ვერ გადამალავდა. წარმოებები იხურებოდა. ხორცულმშინაგამაც შეწყვიტა მუშაობა და ზურაბ ცირეკიძე უსამსახუროდ დარჩა. ოჯახს ცოტა დანახოგი ჰქონდა, მანქანის ყიდვას აპირებდნენ, მაგრამ არ დასცალდათ, ფული ისე უცებ გაუფასურდა. ოჯახს უფროსი იძულებული გახდა შაბათ-კვირას ისევ სოფელში გამგზავრებულიყო და მიწა დაემუშავებინა. მატარებლით მგზავრობაში უფრო მეტი დრო ეხარჯებოდა, ვიდრე ადრე. სპორტისთვის ქალაქში თითქმის აღარავის ეცალა, თუმცა ცირეკიძები სკოლა-ლიცეუმში ვარჯიშს მაინც აგრძელებდნენ.

პატარა ირაკლის ძიუდოზე მისვლისას კიმონო არ ჰქონია, თუმცა ის გამონაკლისი არ იყო. კიმონოს გარეშე დარბაზში ბევრი ვარჯიში მიმდინარეობდა. ზოგს შარვალი არ ჰქონდა, ზოგს ზედა ჩასაცმელი და ბიჭები ვარჯიშზე ჩვეულებრივი სპორ-



ტული ტანსაცმლით მიდიოდნენ. ამიტომ, როდესაც მამამ კიმონო უყიდა, ირაკლიმ მეტი მონდომებით გააგრძელა ვარჯიში.

გაკვეთილების შემდეგ, ძიუდოში ვარჯიშის დაწყებამდე ორიოდე საათი ჰქონდა. მივიღოდა სახლში, ისადილებდა და ცოტა ხანში ისევ სკოლაში მიდიოდა სავარჯიშოდ, თუმცა გზად ფეხბურთის თამაშს და დაღლას ასწრებდა ხოლმე. სწავლისთვის დრო საღამოსლა რჩებოდა. სწავლა არ ეზარებოდა და მასწავლებლებს სამდურავი არ ეთქმოდათ.

თანაკლასელებთან ერთად ვარჯიში ეხალისებოდა, მაგრამ თანატოლებს ვერაფრით სჯობდა. მისი კლასელები ძიუდოში უფრო გამოცდილები იყვნენ და მათთან პაექრობა უჭირდა. ცოტა ხანში შეჯიბრებებზე გამოსვლის დროც დადგა. ქუთაისის პირველობაზე მოუნია ასპარეზობა, მაგრამ პირველსავე შეხვედრაში დამარცხდა. მონინააღმდეგეს რომ შეხედა, მიხვდა, მასზე საკმაოდ ასაკოვანთან უნდევდა დაჭიდება. ამას სხვებიც ხედავდნენ, მაგრამ მაინც აჭიდავეს. აჭიდავეს და თავისი პირველი შეჯიბრების პირველი შეხვედრა შებოჭვით წააგო. ირაკლი თავიდან შეჯიბრებებზე მშობლის დასწრებასაც განიცდიდა და ამიტომაც აგებდა. ჭიდაობისას ერთგარი შიშიც იძყრობდა, მაგრამ თანდათან ეს გრძნობა მისთვის საერთოდ უცხო გახდა. ამასთან, ჭიდაობისას უხეში შეცდომა იშვიათად მოსდიოდა, საკმაოდ ჭკვიანურად ჭიდაობდა.

12 წლისას უკვე რეგიონის პირველობაზე მოუნია ასპარეზობა. დაზმირონიანმა თავისი შეგირდები მიკროავტობუსში ჩასხა და საასპარეზოდ თერჯოლაში წაიყვანა. ამ დროს ირაკლი 38 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა. ბევრისთვის მოულოდნელად, ყველა მეტოქეს აჯობა და თავისი პირველი შეჯიბრება მოიგო.

დაზმირონიანის მოსწავლეები საქართველოს პირველობებზეც წარმატებით ასპარეზობდნენ. ირაკლი მეტწილად პრიზიორთა შორის ხვდებოდა, მაგრამ პირველი ადგილი სანატრელი ჰქონდა. 1995 წელს საქართველოს ასაკობრივი პირველობა თელავში ჩატარდა და აქ გამარჯვება აღარავის დაანება. შემდეგ იყო შეჯიბრებები ახმეტაში, საგარევოში, ლენტებში. ირაკლი მუდმივად საპრიზო სამეცნიერო სტუდებოდა. ლენტებში შეჯიბრების შემდეგ ძიუდოს ცნობილმა სპეციალისტმა ბერდია გუგავამ ახალგაზრდა ძიუდოსტები კიმონოებით დაასაჩუქრა. ერთი კომპლექტი ირაკლისაც ერგო. პატარა ძიუდოსტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჯილდო ხომ მან თავისი შრომით და მიღწეული შედეგით



2006 წელს ლისაბონში
გამართულ მსოფლიო
თასის ფინალში ირაკლი
ცირეკიძემ ესპანელ
დავით აღარზას მოუგო

დაიმსახურა. ეს კიმონო შემდეგ კარგა ხანს ატარა. ზოგჯერ დაეხეოდა, მაგრამ დაკერებული კიმონოთი ვარჯიში არავის ეთაკილებოდა. იმ ნლებში, საქართველოს პირველობებზე გამარჯვებულთა შორის ხშირად ხვდებოდნენ ქუთაისის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები, მაგრამ მათ რიგებში არ იყო ირაკლი ცირეკიძე. ამიტომაც ხშირად მიუღია საყვედური დაზმირ ონიანისგან, რომელსაც რამდენიმეჯერ ვარჯიშიდანაც კი დაუთხოვია: „ზარმაცი ხარ, არ ვარჯიშობ, როგორც საჭიროა, წადი, მშობელი მოიყვანეო.“

მერე დაზმირის ვაჟს, თამაზ ონიანს დაუმეგობრდა და მასთან ერთად სავარჯიშოდ გვიანობამდე რჩებოდა დარბაზში. თამაზ ონიანი თავადაც ძიუდო-ისტი იყო, მაგრამ აქტიური სპორტსმენის კარიერის გაგრძელებას მწვრთნელო-



ბა არჩია, ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარა და ბავშვებს მამასთან ერთად ავარჯიშებდა. ირაკლის უფრო მეტად თამაზთან ვარჯიში იზიდავდა, რადგან მათ შორის ასაკობრივი სხვაობა შედარებით მცირე იყო, თანაც სპარინგბარ-ტნიორობაც კარგად გამოსდიოდათ. პირველი წარმატებების შემდეგ, ვარჯიშებს უფრო ხშირად ესწრებოდა ირაკლის მამაც.

1997 წელს პორტუგალიაში ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ტარდებოდა, სადაც ქართველ ძიუდოისტებსაც უნდა ეასპარეზათ. თამაზი ირაკლის უფრო მეტი ხალისით ავარჯიშებდა — იქნებ რამე გამოვიდეს და ფესტივალის შესარჩევი ტურნირი მოიგოო. ამ დროს ირაკლი უკვე 50 კილოგრამამდე იწონდა. ერთ-ერთ ვარჯიშზე მოულოდნელად ფეხი იტკინა, მუხლში სითხე ჩაუდგა

2008 წლის ევროპის
ჩემპიონატზე ირაკლი
ცირკელიძემ ბრინჯაოს
მედალი მოიპოვა

და თითქმის ორი თვე გაუცდა. თამაზს შეგირდისა მაინც სჯეროდა, გამოჯან-მრთელების შემდეგ, სპეციალური გრაფიკით აგარჯიშებდა. სკოლიდან მოს-წავლეები უკვე დაითხოვეს, ვარჯიშებიც აღარ ტარდებოდა, მაგრამ თამაზი და ირაკლი მაინც მიდიოდნენ სპორტდარბაზში და შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებოდნენ. შრომაშ შედეგი გამოიღო. ირაკლიმ შესარჩევ ტურნირში თავი გამოიჩინა, თუმცა ოლიმპიურ ფესტივალზე წამსვლელთა ვინაობა ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული. ჭაბუკთა წაკრების მწვრთნელმა ამირან ტოტიკაშვილმა ძი-უდოისტები თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე გამოსცადა. ირაკლის ფეხი კვლავ ანუხებდა და კარგად ვერ მოემზადა, თუმცა კონკურენტებს მაინც აჯობა და პორტუგალიაში მისი წასვლის ამბავიც გადაწყდა. მტკიცანი ფეხი სრულყო-ფილი ვარჯიშის საშუალებას არც შემდეგ აძლევდა, სათანადოდ ვერც ოლიმპი-ური ფესტივალისთვის მოემზადა და პორტუგალიაში მხოლოდ მეშვიდე ადგილ-ზე გავიდა.

იმ წლებში სპორტი მიზერული თანხით ფინანსდებოდა. სახელმწიფო მოხე-ლები წაკლებად ფიქრობდნენ სპორტული სექციების დაფინანსებაზე, დარბა-ზებში ინვენტარი საკმარისი არ იყო. ძიუდოისტებს სავარჯიშოდ და საშეჯიბ-როდ ტატამი სჭირდებათ. ქუთაისელ ძიუდოისტებს ტატამიც სანატრელი ჰქონ-დათ.

ერთხელ ქუთაისს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრე-ზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი სტუმ-რობდნენ. მათ იმერეთის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის პრეზენტული თემურ შაშიაშვილი მასპინძლობდა. შესვედრისას დაზმირ ონიანმა სტუმრების ყურადღება მიიქცია და მოულოდნელად... ლექსი წარმოთქვა:

„თქვენი წახვა თუ მომირჩენს გულს ისედაც მტკიცანს,
გესალმებით პრეზიდენტს და გენერალურ მდივანს,
ერთი თხოვნა მომაქვს თქვენთან, რაც ძვალ-რბილში ატანს,
სიცოცხლეში თუ მომასწრებთ საოცნებო ტატამს.“

ამის თქმაზე სტუმრებმა გულიანად გაიცინეს. თემურ შაშიაშვილმა კი დაზ-მირ ონიანს მიმართა — თქვენ მწვრთნელი ხართ თუ პოეტიო. დაზმირიც არ და-იბნა და მხარის გუბერნატორს ლექსით უპასუხა:

„გასწავლო, ლექსიც დაგწერო, ქვეყნად ამისათვის მოვედი,
ხომ შეიძლება, რომ იყოს, კაცი მწვრთნელიც და პოეტიც“.



სტუმრებმა სიცილს უკვე ტაშიც მოაყოლეს, მაგრამ ქუთაისელი ძიუდო-ისტების მდგომარეობა არც ამის შემდეგ გაუმჯობესებულა. დაზმირ ონიანის-თვის ტატამი ისევ ოცნებად რჩებოდა. ვარჯიშების ჩატარება ძალიან ჭირდა. ბავშვებს კიმონოებიც არ ჰქონდათ. შვილებისთვის პირობების შექმნას მშობლებიც ველარ ახერხებდნენ. შეჯიბრებაზე წასასვლელად ფული იყო საჭირო — ტრანსპორტი, სასტუმრო, კვება. თუ ძიუდოისტი შეჯიბრებაზე არ გამოვიდოდა, ვარჯიშიც აზრს კარგავდა, ამიტომ იყო შემთხვევები, როდესაც პერსპექტიულ ძიუდოისტებს უფულობის გამო ვარჯიშისთვის თავი დაუწებებიათ. განსაკუთრებით ჭირდა ზამთრის პერიოდში, როდესაც დარბაზში არც გათბობა იყო და არც ელექტროენერგია. ხანდახან დარბაზში შეშის ღუმლით ათბობდნენ, უშუქობას კი სანთლებით ებრძოდნენ. ცხელ წყალზე და შხაპზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ბავშვები ტანსცმელს სიბნელეში იცვლიდნენ და სახლში დაბრუნებულებს არაერთხელ აღმოუჩენიათ, რომ ვარჯიშიდან სხვისი ტანსაცმლით წამოსულან.

ირაკლისაც ასეთ პირობებში უწევდა ვარჯიში, ძიუდოსთვის თავის დანებებაზე მასაც უფიქრია, მაგრამ ამის უფლებას მშობლები არ აძლევდნენ. სკოლა-დამთავრული ჭაბუკი მომავალზე ფიქრობდა, მაგრამ სპორტული ბერსპექტივის იმედი ნაკლებად ჰქონდა. სკოლადამთავრებულებს დაზმირ ონიანიც ველარ აქცევდა ჩვეულ ყურადღებას და ვარჯიშს არაერთი ძიუდოისტი შეეშვა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ირაკლიზე ძლიერები იყვნენ და პერსპექტიულებად მიიჩნეოდნენ. ზოგიერთმა სწავლის გაგრძელებაზე დაიწყო ფიქრი, ზოგმა სამუშაო მოძებნა, ზოგს კი გულმა ქუჩისკენ გაუწია.

დედის დაუინებული თხოვნით, ირაკლი ვარჯიშსაც აგრძელებდა და სწავლასაც. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, ძიუდოში კი ინტენსიურად აღარ ვარჯიშობდა, დარბაზში ხანდახან თუ შეივლიდა.

წლის განმავლობაში ძიუდოისტებს, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთ შეჯიბრებაში — საქართველოს ჩემპიონატში უწევდათ ასპარეზობა და იქ თუ ვერ გაიმარჯვებდი, ყურადღებას არავინ მოგაქცევდა. წონის თანდათანობით მატების გამო, ირაკლი ახალ-ახალ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, შესაბამისად, ახალ კონკურენტებთან უწევდა დაპირისპირება და მათთან გამკლავება უჭირდა. გამარჯვებმაც იკლო.

დაღმასვლის პერიოდი რამდენიმე წელი გაგრძელდა.

მშობლებს, ცხადია, ირაკლი ქუჩისთვის არ ემეტებოდათ. ზურაბ ცირეკიძე ცნობილ მწვრთნელთან, ომარ მერაბიშვილთან მივიღა და დახმარება სთხოვა, მაგრამ ომარმა უარით გამოისტუმრა: „და ზმირის მოსწავლეებს არ ვლებულობო.“ თავად დაზმირ ონიანი წინააღმდეგი არ იყო, რომ ირაკლის ომარ მერაბიშვილთან გაეგრძელებინა ვარჯიში. ზურაბმა იხტიბარი არ გაიტეხა, მეორედაც მივიღა ომარ მერაბიშვილთან, მაგრამ ისევ უარი მიიღო. ირაკლიმ ვარჯიშს უკვე თავი დაანება, მეტ დროს ქუჩაში ატარებდა. მამა შვილის ბედზე წუხდა და სამი თვის თავზე კიდევ ერთხელ სცადა ბედი: „ბავშვი დამელუპება, საერთოდ აღარ ვარჯიშობს, სმა დაიწყო. იაროს თქვენთან, იქნებ რამე გამოვიდესო.“ როგორც იქნა, დაიყოლია მერაბიშვილი, რომელმაც მალე დაინახა, რომ საქმე ჰქონდა წესიერ ახალგაზრდასთან წესიერი ოჯახიდან. ირაკლი თითქოს მონდომებული ჩანდა, ასეთებს კი მერაბიშვილი სწყალობდა, მაგრამ თუ ვინმეს სიზარმაცეს შეამჩნევდა, პირდაპირ ეტყოდა: „დროს ტყუილად ჰკარგავ, შენგან ძიუდოისტი არ გამოვა და რისთვის დადიხარ ამ დარბაზში.“ ძალიან მომთხოვნი იყო და დისციპლინას დიდ ყურადღებას აქცევდა. როგორც კი ომარ მერაბიშვილი დარბაზში ფეხს შედგამდა, მაშინვე ყველაფერი თავისთავად ლაგდებოდა — დავით ხახალეიშვილის, აკაკი კიბორძალიძის და სხვა ჩემპიონების აღმზრდელს შეუვალი ავტორიტეტი ჰქონდა. ახალგაზრდა ძიუდოისტების მშობლებმა, რა თქმა უნდა, ეს იცოდნენ და სწორედ ამიტომ იყო, რომ სკოლადამთავრებულები ხშირად ომარ მერაბიშვილთან აგრძელებდნენ ვარჯიშს. ასეთები კი ძირითადად ისინი იყვნენ, ვისაც მართლა სურდა ვარჯიში და რომელთათვისაც ძიუდო მხოლოდ გართობა აღარ იყო. ხანდახან, როცა ირაკლისაც შეეტყობოდა ზერელობა, მერაბიშვილი დედამისს ურეკავდა: „ქალბატონზე ზეინაბ, თქვენ უფრო დაგიჯერებთ, მეტი ხათრი აქვს თქვენი. შეიძლება ირაკლისგან დიდი ძიუდოისტი გამოვიდეს. დაგვეხმარეთ, გააკონტროლეთ და უთხარით, უფრო სერიოზულად მოეკიდოს საქმეს.“ დედის შეგონების შემდეგ, ირაკლი ჩვეულად გააგრძელებდა ხოლმე ვარჯიშს.

81 კგ წონითი კატეგორია იმ დროისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრების სუსტი წერტილი იყო. ეს ერთადერთი წონითი კატეგორია აღმოჩნდა, რომელშიც ქართველებმა სიდწის ლიცენზია ვერ მოიპოვეს. იმ პერიოდში რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა გრიგოლ მამრიკაშვილი, რომელმაც მაშინვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. მამრიკიშვილმა კონკურენციაში



2007 წლის მსოფლიო
ჩემპიონატის პრიზიორები:
90 კგ წონაში (მარცხნიდან):
ილიას ილიაძისი
(საბერძნეთი),
ირაელი ცირკეიძე,
რობერტო მელონი (იტალია)
და ივან მერშინი (რუსეთი).
რომ დე ფანჯარო

აყობა სხვა ძიუდოისტებს და დამსახურებულად მოიპოვა ადგილი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრა. მამრიყშვილი ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა და უკვე ეროვნული ნაკრების კანდიდატი გახდა. მამრიყიშვილი და ცირკეიძე ერთად ვარჯიშობდნენ. ირაკლი ატყობდა, რომ მამრიყიშვილი მასზე ძლიერი იყო და, შესაბამისად, შეჯიბრებულებულ უკეთ ასპარეზობდა. საქართველოს მორიგ ჩემპიონატში ირაკლიმ მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ მაშინ ბრინჯაოს მედალოსნებს სანაკრებო შეკრებაზე მოხვედრის მცირე შანსი ჰქონდათ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი, ფინანსების სიმნირის გამო, იძულებული იყო საერთაშორისო შეჯიბრების წინ შეკრებაზე მხოლოდ გამორჩეული ძიუდოისტები წაეყვანა. შესაბამისად, შეკრებაზე ძირითადად საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტები ხვდებოდნენ.

ირაკლიმ სამბობიც სცადა ბედი და საქართველოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ, ისევ უსახსრობის გამო, ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა ვერ შეძლო. იმ დროს ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატისთვის ემზადებოდა და ბორჯომში შეკრებას გეგმავდა. ომარ მერაბიშვილმა შოთა ხაბარელს სთხოვა, კარგი ბიჭია, წაიყვანე შეკრებაზე, ნაკრების წევრებისთვისაც კარგი იქნება და თვითონ ამისთვისაცო. ხაბარელი, როგორც წესი, ითვალისწინებდა მერაბიშ-

ვილის თხოვნას. ბორჯომში მაშინ ნაკრების 15 ძიუდოისტი ემზადებოდა, მათ შორის იყო ირაკლი ცირეკიძეც. ირაკლიმ იცოდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაემგზავრებოდა, მაგრამ მაიც გულიანად ვარჯიშობდა, თან თანაგუნდელებს სპარიგ-პარტნიორობას უწევდა. ატყობდა, რომ შოთა ხაბარელი ცუდი თვალით არ უყურებდა. ირაკლის ეგრეთწოდებული „გადავლება“ კარგად გამოსდიოდა და ამის გამო მწვრთნელის ქებაც დაიმსახურა. ეროვნულ ნაკრებთან ერთად პირველი ვარჯიშით ირაკლიც კამაყოფილი დარჩა. იმ წელს ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. ქართველები შევიცარის ქალაქ ბაზელში გამართულ შეჯიბრებაში მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ იაპონელებთან.

ირაკლი თავის დროს ელოდა. 87-88 კილოგრამს იწონიდა, თუმცა მწვრთნელები ურჩევდნენ 81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ეასპარეზა. ეს წონა საქართველოს ნაკრებისთვის ისევ რჩებოდა სუსტ წერტილად და ახალგაზრდებს აქ დამკვიდრების უფრო მეტი შანსი ჰქონდათ. გრიგოლ მამრიკაშვილი უფროსებში მაინცდამაინც წარმატებით ვერ ასპარეზობდა. შიდა კონკურენციაში სხვებს სჯობდა, მაგრამ მწვრთნელ-სპეციალისტები და გულშემატკიცვრები მისგან საერთაშორისო წარმატებებს ითხოვდნენ და როდესაც მამრიკაშვილი ამას ვერ ახერხებდა, ნაკრების მწვრთნელები იძულებული იყვნენ ამ წონაში ახალგაზრდები გამოეცადათ.

ირაკლის საქმაოდ უჭირდა წონის დაკლება, თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს ჩემპიონატისთვის თითქოს ურიგოდ არ მომზადებულა და წარმატების იმედიც ჰქონდა. პირველი შეხვედრა მოიგო კიდეც, მეორე შეხვედრასაც დიდი უპირატესობით იგებდა, მაგრამ შემდეგ შებოჭვაზე მოყვა და საერთოდ უშედლოდ დარჩა. ეს მისთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო. ამ ერთი წაგებით თითქოს ყველაფერი დასრულდა, რადგან იცოდა, რომ მინიმუმ ერთი წლით ემშვიდობებოდა საქართველოს ნაკრებს და საერთაშორისო შეჯიბრებებს. თბილისში რომ ეცხოვრა, შეეძლო ნაკრებთან ერთად ევარჯიშა და მთავარი მწვრთნელის თვალთახედვის არეში მოხვედრილიყო. ქუთაისში ისევ თავისი მწვრთნელი ომარ მერაბიშვილი თუ დაუდგებოდა გვერდში, მაგრამ მწვრთნელთან თავს დამანაშავედ გრძნობდა, რადგან იმედები ვერ გაუმართლა. მწვრთნელი კი ეუბნებოდა — იგარჯიშეო, მაგრამ გულს ვერ უდებდა. ამ ყველაფერს ძმის — ბესოს ავადმყოფობაც დაემატა და ირაკლი ძიუდოს საერთოდ შეეძვა.



ბესოც დაზმირ ონიანთან დადიოდა ძიუდოზე და საკმაოდ პერსპექტიულ სპორტსმენად მიიჩნეოდა, მაგრამ განათლების სისტემაში შემოღებული ცვლილებების გამო, იძულებული გახდა ბოლო კლასებში სხვა სკოლაში გადასულიყო და ძიუდოსაც თავი დაანება. სკოლის დამთავრების შემდეგ კი მშობლებს მისი გაკონტროლება საკმაოდ გაუჭირდათ. ბესომ სოფელში წასვლა არჩია და ძირითადად იქ ცხოვრობდა. შემდეგ კი თავის რამდენიმე თანატოლთან ერთად რუსეთში წასვლა გადაწყვიტა: „ხომ ვხედავ, რამდენს წვალობთ და შრომობთ, თავი მაინც ძლივს გაგვაქვს, ამიტომ აჯობებს წავიდე და იქნება რამით დაგეხმაროთო, „ - ეუბნებოდა დედ-მამას. მშობლებმა შვილს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინს. ბესო ორ თანატოლთან ერთად წავიდა რუსეთში. იქიდან ოჯახს ხშირად ეხმიანებოდა და ანუგეშებდა. დედამ ორჯერ ჩააკითხა და მისი საქართველოში ჩამოყვანა მოახერხა. ბესო, თურმე, რამდენიმეჯერ გაციებულა რუსეთში, ოჯახის წევრებს კი ამის შესახებ არაფერს ეუბნებოდა. ფილტვები უკვე ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა. ავადმყოფი თბილისში დააწვინეს. ირაკლი მთელ დროს ძმის გვერდით ატარებდა. ბესო თითქოს ცოტა მომჯობინდა, მაგრამ მოულოდნელად მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და გარდაიცვალა.

უფროსი ძმის გარდაცვალება ირაკლისთვის, ცხადია, მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა იყო. ბოლო დროს ისედაც იშვიათად ვარჯიშობდა, ახლა კი სპორტზე საერთოდ აიცრუა გული. ისევ ქალბატონმა ზეინაბმა იაქტიურა — ომარ მერაბიშვილთან მივიდა რჩევისთვის. დედამ ალარ იცოდა რა ექნა, ლირდა შვილის ძიუდოში დარჩენა, თუ ცნობილ მწვრთნელთან მისულს შვილისთვის სადმე სამსახურის გამოიძებნა ეთხოვა. საბოლოოდ, ირაკლი ძიუდოში დარჩა და კვლავ ომარ მერაბიშვილის ხელმძღვანელობით გააგრძელა ვარჯიში. მწვრთნელს თავისი გეგმა ჰქონდა და კროსი ამ გეგმის ნაჩილი იყო. შაბათობით შეიკრიბებოდნენ ხოლმე ახალგაზრდა ძიუდოისტები და სირბილით გაუყვებოდნენ სათაფლიისკენ მიმავალ გზას. განსაკუთრებით ძნელი იყო ორკილომეტრიანი აღმართის არბენა. სხვების მსგავსად, კროსი ირაკლისაც ეჯავრებოდა, დალლილობის გამო უტირია კიდეც, მაგრამ მწვრთნელს მაინც თავისი გაპქონდა. ირაკლიც უფრო გულმოძგინედ ვარჯიშობდა. ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, რომელ წონაში გამოსულიყო. 81 კგ წონით კატეგორიაში საასარეზოდ წონის დაელება მოუწევდა, მომდევნო — 90 კგ წონაში კი ნაკრების ლიდერი იყო მსოფლიოს ჩემპიონა-



2008 წელს საქართველოს
ძიუდოისტთა ნაკრებმა
მეორედ მოიპოვა
მსოფლიოს გუნდური
ჩემპიონის ტიტული.
ამ წარმატებაში თავისი
წელი ირაკლი
ცირეკიძემაც შეიტანა.
ტოკო



ირაკლი ცირეკიძე და
გარლამ ლიპარტელიანი



ტის ორგზის ფინალისტი ზურაბ ზვიადაური. მოკლედ, ცირეკიძე თავის დროს უნდა დალოდებოდა, მაგრამ ხანდახან ეჭვი ეპარებოდა, რომ ეს დრო ოდესმე დადგებოდა.

მწვრთნელი არ ეშვებოდა. მისი ყველაზე მეტად ომარ მერაბიშვილს სჯეროდა. ომარის შვილი და ირაკლის მომავალი მწვრთნელი მერაბ მერაბიშვილი იხსენებს: „მამაჩემი ხშირად მესაუბრებოდა ირაკლიზე, როგორც განსაკუთრებული მონაცემების ქვემით — მაგი იმანირი ჩხლართია, უსათუოდ მიაღწევს დიდ შედეგს. ჯერ დგომი აქვს ისეთი, მასთან ჭიდაობა ნებისმიერს გაუჭირდება. ახლა მთავარია სწორი მიმართულება მივცეთ და მეტს თუ იშრომებს, აი, ნახავ რა ძიუდიოსტი დადგებაო.“

ომარ მერაბიშვილი ირაკლის მხოლოდ ერთს თხოვდა — გულმოდგინე ვარჯიშს. ეუბნებოდა, შრომას ნუ დაიზარებ და შედეგი უთუოდ მოვაო. ძალზე ბრაზობდა, როცა ირაკლი დააგვიანებდა ან საერთოდ გააცდენდა ვარჯიშს. ერთ-ერთი გაცდენილი ვარჯიშის შემდეგ, ირაკლი ტოტალიზატორთან შეუმჩნევია მეგობრებთან ერთად. კაცი ლამის გაგიჟებულა. მაშინ არაფერი უთქვამს, მაგრამ მეორე დღეს, დარბაზში მისული ირაკლი დაუმარტოხელებია და მაგრად უჩხუბია: „ბიჭო, რა გინდა იმ დასაწვავ ტოტალიზატორში, რას ეძებ იქ. არ დაგინახო იქ მეორედ მისული. რით ვერ გაიგე, რომ შენი ტოტალიზატორი ეს დარბაზია.“ ირაკლი, თურმე, თავდახრილი უსმენდა მწვრთნელს. აბა, სიტყვას როგორ შეუბრუნებდა, ან რა უნდა ეთქვა. თავადაც ხვდებოდა, რომ მწვრთნელი ცამდე მართალი იყო. ამ ამბავმა შედეგად ის მოიტანა, რომ ვარჯიშებს გაცილებით სერიოზულად მოეკიდა და ცდილობდა ზედმინევნით ზუსტად შეესრულებინა მწვრთხელის დავალება. ირაკლი იმასაც ამჩნევდა, რომ ომარს მის მიმართ სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდა. ეს ურთიერთობა უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ მწვრთნელისა და მოწაფისა.

...ათენის ოლიმპიადის წინ საქართველოს ნაკრების კანდიდატებს საწვრთნელ შეკრებაზე უხმეს. ომარ მერაბიშვილმა ხაბარელს სთხოვა, შეკრებაზე ირაკლი ცირეკიძეც წაეყვანა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ამჯერადაც ყურად იღო გამოცდილი კოლეგის თხოვნა. ოლიმპიადისწინია შეკრება კი საქართველოს ნაკრებსაც წაადგა და თავად ირაკლისაც, რომელიც მომავალი ოლიმპიელის, ზურაბ ზვიადაურის გვერდიგვერდ ვარჯიშობდა. ზვიადაურმა ათენის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი აიღო და მთელი საქართველო გაახარა. ზვიადაუ-



რის წარმატებით ირაკლიმაც გაიხარა. მერე კი, როცა ემოციები ჩაცხრა და თავის მომავალზე დაფიქრდა, დიდი პერსპექტივა ველარ დაინახა, რადგან ამჯერად უკვე ოლიმპიურ ჩემპიონთან მოუნევდა კონკურენცია. ზევიადაურის პირველი ნომრობიდან „ჩაჩოჩება“ წარმოუდგენლად ეჩვენებოდა.

ოლიმპიადის შემდეგ საქართველოს ნაკრები ბორჯომში მორიგ შეკრებაზე მიემგზავრებოდა. ძიუდოს არ ჰქონდა იმდენი დაფინანსება, რომ ნაკრების მთავარ მწვრთნელს შეკრებაზე გაფართოებული შემადგენლობა ნაეყვანა. ირაკლი შეკრების გარეშე ჩებიდა. ომარ მერაბიშვილმა ხაბარელს კიდევ ერთხელ დაურეკა და სთხოვა, ირაკლი ნაკრების შემადგენლობაში ჩაერთო. მერაბიშვილი ცდილობდა დაერწმუნებონა ნაკრების მწვრთნელი, რომ ირაკლი ცირკეკიძეს შეეძლო წარმატების მიღწევა. „შოთა, დამიჯერე, ეს ბიჭი რაღაცას მიაღწევს. ხომ გჯერა ჩემი“. —

— რა ვქნა, ვასილიჩ, არ არის ადგილი და როგორ წავიყვანო, — უხსნიდა უარის მიზეზს ხაბარელი.

— ჩემი ადგილი არის? — შეეკითხა მერაბიშვილი.

— შენი ადგილი როგორ არ არის. რას ამბობ, შენთვის ადგილს ყოველთვის გამოვექნით.

— ჰოდა, ჩემს ადგილზე ჩასვი ირაკლი ცირკეკიძე, — მყისვე მიუგო მერაბიშვილმა.

რაღა უნდა ეთქვა ხაბარელს.

შეკრებაზე გამგზავრების წინ მწვრთნელმა შეგირდი ასე დამოძღვრა: „აბა, შენ იცი, ბევრი უნდა იშროომო. შენი ძმა იმ ქვეყნად ელოდება შენს შედეგებს. ხომ ხედავ, შენი მშობლები როგორ წვალობენ, ამხელა ტრაგედია გადაიტანეს. ახლა ისინი შენ შემოყურებენ, უნდა მონახო შენს თავში ძალა და გახახრო დედის გული.“

შეკრების შემდეგ შოთა ხაბარელი ძალიან კამაყოფილი იყო. მერაბიშვილს დაურეკა და უთხრა: „ვასილიჩ, შენ მგონი არ ცდები. თავისუფლად ჭიდაობს ყველასთან. ამ ბიჭისგან მართლა შეიძლება რაღაც გამოვიდეს.“ მერაბიშვილმა გულით გაიხარა.

შეკრება ირაკლის ძალიან წაადგა. იმდენად კარგ ფორმაში იყო, რომ წონის დაკლებაზე აღარ უფიქრია. საქართველოს ჩემპიონატში 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იასპარეზა და გაიმარჯვა კიდეც. წინ თბილისის საერთაშორისო ტურნირი იყო, რომელიც უკვე „მსოფლიოს თასად“ იწოდებოდა. იცოდა,

თბილისში ზურაბ ზვიადაურიც იჭიდავებდა, მაგრამ „რაც იქნება, იქნებაო,“ — თქვა და ტურნირისთვის მზადებას შეუდგა.

შოთა ხაბარელი ხედავდა, რომ ირაკლი თავდაუზოგავად შრომობდა. მოსწონდა, როცა ძიუდოისტები გადავლებებს აკეთებდნენ, თანაც ცირეკიძის ეს ილეთი სხვებისას არ ჰგავდა, გდებებიც განსხვავებული ჰქონდა. ცირეკიძის-თვის ილეთის ჩატარება ყველას უჭირდა. ნაკრებში მუშაობისას ხაბარელს სხვადასხვა ხასიათის ძიუდოისტთან უწევდა ურთიერთობა. ერთთან თუ რბილი მოპყრობა ჭრიდა, სხვასთან სიმკაცრე იძლეოდა შედეგს. ცირეკიძის შემთხვევა სულ სხვა იყო. ზუსტად აუხსნიდი ამოცანას, დაგალებას მისცემდი და დანარჩენს თავად ასრულებდა ზედმინევნით. მწვრთნელს მასთან პრეტენზიები თითქმის არ ჰქონდა.

ომარ მერაბიშვილს უხაროდა მონაფის წარმატება და მეტი ხალისით აგრძელებდა მასთან მუშაობას. ერთხელ, თბილისის ტურნირის წინ, ომარი, მისი ვაჟი მერაბი და ირაკლი მანქანით მოძრაობდნენ ქუთაისში. გზად ახალი ოლიმპიური ჩემპიონის, ზურაბ ზვიადაურის დიდ პლაკატს შეეფეოთნენ. ომარი ირაკლის მიუბრუნდა და უუბნება: „კაცი არ ვიყო, თუ მენი სურათები არ გააკრან აქ. აი ნახავ, თუ არ გავააკრევნება!“ თბილისის ტურნირში ცირეკიძე და ზვიადაური ერთმანეთს ფინალში შეხვდნენ. გაიმარჯვა უფრო გამოცდილმა ზვიადაურმა, მაგრამ ცირეკიძემ დაამტკიცა, რომ ნაკრების სრულუფლებიანი წევრი იყო და ტოლ-სწორად პაექრობა ზვიადაურთანაც შეეძლო. ამასობაში მოახლოვდა ეპრობის ჩემპიონატი. რაკი მწვრთნელებმა ზვიადაურის დასცენება გადაწყვიტეს, ირაკლის ასეთ პრესტიულ შეჯიბრებაში ასპარეზობის შანსი გაუჩნდა. ამ შემთხვევაში მისი უმთავრესი კონკურენტი უკვე მინდია ბოდაველი იყო და ნაკრების მთავარ მწვრთნელს არჩევანი ამ ორ ძიუდოისტს შორის უნდა გაეკეთებინა.

ევროპის ჩემპიონატამდე ნაკრები ჩეხეთში საასპარეზოდ წავიდა. ამ ტურნირის შედეგებს კანდიდატების შესარჩევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ირაკლიმ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ბოდაველი კი უმედლოდ დარჩა. მაშინ გადაწყდა, რომ 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონატზე ირაკლი ცირეკიძე იჭიდავებდა.

ევროპის ჩემპიონატი ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში გაიმართა. მართალია, ზურაბ ზვიადაური ევროპის ჩემპიონატში არ ასპარეზობდა, მაგრამ მეგობრების საქომაგოდ ჰოლანდიაში მაინც გაემგზავრა. ცირეკიძე და ზვიადა-



ური სასტუმროში ერთ ნომერში ცხოვრობდნენ. კენჭისყრის შემდეგ ირაკლიმ დაიჟინა, მაჩვენეთ რომელ ჯგუფში მოგხვდი და ვისთან მომიწევს ჭიდაობაო. ნაკრების ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი ეხუმრებოლა — შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მაინც არავის იცნობო. მართლაც ასე იყო. ირაკლის ევროპის ჩემპიონატამდე მხოლოდ ჩეხეთის ტურნირში ეასპარეზა და როცა უთხრეს, შენს ჯგუფში გრეკოვი მოხვდაო, კარგად ვერც გაიგო, ვინ იყო ეს გრეკოვი, რომლის სიძლიერეზეც ყველანი საუბრობდნენ. უკრაინელ ვალენტინ გრეკოვს აქამდე უკვე ორჯერ ჰქონდა მოგებული ევროპის ჩემპიონატი, ორჯერ ჰყავდა დამარცხებული თავად ზვიად ზვიადური. აი, სწორედ ამ გრეკოვთან ერთ ჯგუფში მოხვდა ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტი ირაკლი ცირკეიიდ. უკრაინელამდე ქართველ ძიუდოისტს ჯერ რუმინელთან შეხვედრა მოუნია, შემდეგ ფრანგთან. ცირკეიძემ ორივეს დამჯერებლად მოუგო. ამ შეხვედრებში მწვრთნელის სკამიდან, იქ სადაც ჩევეულებრივ შოთა ხაბარელი იჯდა, ირაკლის სეკუნდანტობას ზურაბ ზვიადური უწევდა. გრეკოვთან დაპირისპირებაში ირაკლი კოკას და 2 იუკოს აგებდა. ამ დროს შოთა ხაბარელმა ველარ მოითმინა, ტატამის კიდეზე მწვრთნელის სკამთან მიიჭრა და თავისი ადგილი დაიკავა. ცოტა ხანში გრეკოვი სამჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი ირაკლიმ მეტოქე იპონზე დასცა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც იტალიელ რობერტო მელონის უნდა შეხვედროდა. ირაკლი ფიქრებით უკვე ფინალში იყო, საბრძოლველად სათანადოდ ველარ განეწყო და დამარცხდა, მესამე ადგილისთვის შეხვედრა კი ოლიმპიურ ჩემპიონთან, ჰოლანდიელ მარკ ჰუიზინგასთან დათმო. ასე დაიკარგა პირველი ევროპული მედლის მოპოვების შანსი.

ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ შოთა ხაბარელმა გადაწყვიტა ირაკლი ცირკეიიდ 100 კგ ნონით კატეგორიაში გამოეცადა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც ეგვიპტეში უნდა გამართულიყო, ზურაბ ზვიადურიც აპირებდა ჭიდაობას. შესაბამისად, 90 კგ ნონით კატეგორიაში ზვიადურს ადგილი დაჯავშნული ჰქონდა. ივერი ჯიქურაულის აქტიური ძიუდოდან წასვლის შემდეგ, ქვემძიმე წონით კატეგორიაში მწვრთნელს ახალი ძიუდოისტების გამოცდა სურდა. არადა, ირაკლის ამ კატეგორიაში საასპარეზოდ წონა არ ჰყოფნიდა. როდესაც საქართველოს ნაკრები თურქეთის ტურნირზე გაემგზავრა, ირაკლი 92 კილოგრამს იწონიდა. თურქეთში თითქოს ცუდად არ გამოსულა და გამოცდილი აზერბაიჯანელი მოვლუდ მირალიევიც კი დაამარცხა. შემდეგ

ირაკლი თანაგუნდელთან გია გუგავასთან დამარცხდა და შოთა ხაბარელმაც კაიროში გუგავას წაყვანა გადაწყვიტა, თუმცა ჩემპიონატის მიღმა არც ცირეკიძე დაუტოვებია და გუნდურ შეჯიბრებაში ჩართო.

ირაკლი ცირეკიძის წინსვლას ბიძგი სწორედ კაიროში გამართულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა მისცა. ამ ჩემპიონატში 90 კგ წონით კატეგორიაში წარუმატებლად იასპარეზა ზურაბ ზვიადაურმა, რომელმაც ერთი შეხვედრაც ვერ მოიგო. იგი ჯერ ეგვიპტელთან, შემდეგ კი ბელორუს ძიუდოისტთან დამარცხდა და ჩემპიონატი უსახელოდ დატოვა. ირაკლი ცირეკიძემ კი გუნდურ შეჯიბრებაში ჩატარებული ორივე შეხვედრა მოიგო და საქართველოს ნაკრებს ბრინჯაოს მედლის მოპოვებაში დაეხმარა. ინდივიდუალურ ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებიდან ერთადერთი მედალი, ისიც ბრინჯაო, ლაშა გუჯეჯიანმა მოიპოვა. სწორედ მაშინ დაინტყო საუბარი ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან შოთა ხაბარელის შესაძლო გათავისუფლების შესახებ. ხაბარელს ყველაზე მეტად სწორედ ზვიადაურის გამო აკრიტიკებდნენ და 90 კგ წონით კატეგორიაში მის დაყენებას შეცდომად უთვლიდნენ. ბევრის აზრით, ამ წონაში ცირეკიძეს უნდა ეჭიდავა. საბოლოოდ, ხაბარელს სიტუაციის გამოსწორება გაზაფხულმდე აცალეს. ხოლო თუ საქართველოს ნაკრები გაზაფხულზე გასამართ ევროპის ჩემპიონატშიც წარუმატებლად გამოვიდოდა, მაშინ მთავარ მწვრთნელს პოსტის დატოვება მოუწევდა.

ნაკრების მწვრთნელებიც სერიოზულად დაფიქრდნენ ზვიადაურის ცირეკიძით ჩანაცვლების შესახებ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ გამოცდილი შოთა ხაბარელი ირაკლი ცირეკიძეს პირველ ნომრობას პირდაპირ უბოძებდა. რა თქმა უნდა, ნაკრების პირველი ნომერი კონკურენციაში უნდა გამოვლენილიყო და ხელალებით ზვიადაურის „ჩამონერა“ სწორი არ იქნებოდა. ამასობაში ზვიადაურს ტრავმები მოეძალა და ძველებურად კარგად ვეღარ ასპარეზობდა.

წინ იყო საქართველოს ჩემპიონატი. საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში გამოაცხადა, რომ ამ ჩემპიონატში უნდა გამოსულიყო ნაკრების ყველა წევრი, რა თქმა უნდა, ტრავმირებულების გარდა. გულშემატკიცრები და სპეციალისტები მოუთმენლად ელოდნენ 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ზვიადაურისა და ცირეკიძის ფინალს, მაგრამ ეს ფინალი არ შედგა იმის გამო, რომ ზვიადაური ფინალამდე დამარცხდა. ირაკლი ცირეკიძე საქართველოს ჩემპიონი გახდა, ეს კი ნაკრების პირველი ნომრობისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო.



ომარ მერაბიშვილი —
ინაკლი ცირკების
მწერთნელი

იმ წლებში სახელმწიფომ ძიუდოს მეტი ყურადღება მიაქცია და საქართველოს ნაკრებს უფრო მეტ შეჯიბრებებში ასპარეზობის საშუალება მიეცა. ევროპის ჩემპიონატი მაისში ფინეთის ქალაქ ტამშერეში უნდა გამართულიყო, მანამდე კი ნაკრები რამდენიმე შეჯიბრებაში გეგმავდა მონაწილეობას, სადაც გამოიცდებოდა უკლებლივ ყველა ძიუდოისტი, ვისაც კი შეიძლებოდა ნაკრებში მოხვედრის პრეტენზია ჰქონოდა.

პირველი დიდი შეჯიბრება, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ იასპარეზა, იაპონიაში გამართული ძიგორო კანოს მემორიალი იყო. ირაკლი ცირეკიძე ერთადერთი ქართველი სპორტსმენი აღმოჩნდა, რომელმაც ამ შეჯიბრებაში მედალი მოიპოვა. ცირეკიძემ ტოკიოში ორი იაპონელის გარდა დაამარცხა ევროპის ორგზის ჩემპიონი, უკრაინელი ვალენტინ გრეკოვი და საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ლიმპიური ჩემპიონი იღიას იღია-დისი (ჯარჯი ზვიადაური), თუმცა საბოლოოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ამას მოჰყვა თბილისის მსოფლიო თასის გათამაშება და იქ მოპოვებული ოქროს ჯილდო. შემდეგ იყო მსოფლიოს თასის კიდევ ერთი ტურნირი პრაღაში. ირაკლის დიდი სურვილი ჰქონდა დაემტკიცებინა, რომ ნაკრების პირველ ნომრიბას იმსახურებდა, მაგრამ ჩეხეთში ტრაგმის გამო ვერ გაემგზავრა ზურაბ ზვიადაური. ცირეკიძეს კარგად ესმოდა, პრაღაში ჩემპიონიც რომ გამხდარიყო, ეს შეჯიბრება შიდა კონკურენციის დასაძლევად მაინც არ იქნებოდა საკმარისი. მან პრაღის მსოფლიოს თასზე მესამე ადგილი დაიკავა.

ირაკლი ვარჯიშებზე თავს არ ზოგავდა, ბევრს შრომობდა. მწვრთნელებიც კმაყოფილნი იყვნენ, მაგრამ მუდამ გრძნობდა ზურაბ ზვიადაურის „სუნთქვას“. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ყველაფრის მიუხედავად, ნაკრების მწვრთნელებს შეიძლებოდა არჩევნი მაინც ზვიადაურზე შეეჩერებინათ. ევროპის ჩემპიონატის წინ შოთა ხაბარელმა ნაკრების უმთავრესი კანდიდატები ბოლო შეჯიბრებაზე პორტუგალიაში, მსოფლიოს თასზე წაიყვანა. ირაკლი ცირეკიძემ ყველა შეხვედრა მოიგო, პირველი ადგილი დაიკავა და ტამპერეში გამგზავრებაც გაინაღდა.

ევროპის ჩემპიონატის წინ ირაკლი გრძნობდა, რომ ვერ იყო სასურველ სპორტულ ფორმაში — ამდენმა ვარჯიშმა და შეჯიბრებამ თითქოს გამოფიტა და ძალა გამოაცალა. ფიქრობდა, რომ დასვენება წაადგებოდა. ტამპერეში გამგზავრების წინ, შეკრებებს შორის, ქუთაისში რამდენიმეჯერ მეგობრებს გაურა. ერთხელ დაბადების დღეზე წაიყვანეს და სწორედ იქ გაიცნო თავისი მომავა-



ლი მეუღლე — ქეთი. მაშინ, რა თქმა უნდა, არც ერთ მათგანს არ უფიქრია, რომ შეიძლებოდა მომავალში ბედი ერთმანეთთან დაეკავშირებინათ.

2006 წლის მაისში ტამპერეში გამართული ევროპის ჩემპიონატი ირაკლისთვის დიდი იმედგაცრუება აღმოჩნდა. თავადაც გრძნობდა, რომ ვერ იყო საჭირო კონდიციაში, მაგრამ ვერც იმას ივარაუდებდა, რომ შეჯიბრებას საწყის ეტაპზე გამოეთხებოდა. პირველ შეხვედრაში თურქი ბურჰან კოჩანი იოლად დაამარცხა, მეორე წრეში კი ქართველი გულშემატკიცრებისთვის ათენის ოლიმპიადიდან კარგად ნაცნობ ბრიტანელ უინსტონ გორდონს შეხვდა (ათენში გორდონი ზურაბ ზვიადაურმა დაამარცხა). ირაკლის შეხვედრა ურიგოდ არ დაუწყია, საკმაოდ აქტიური იყო, მსაჯებმა გორდონი გააფრთხილეს კიდეც. მაგრამ უცებ ბრიტანელი ქართველს ხელებით შეეკრა და მეტოქე იპონზე დასცა. ამ მარცხმა ცირეკიძეს ძალიან დასწყიტა გული — საკუთარი თავს ვერ პატიობდა ასეთ შეცდომას. თან იმას ფიქრობდა, რომ ყველაფერი ახლიდან დასამტკიცებელი და მოსაპოვებელი ჰქონდა. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ძიუდოისტებმა თითო ოქროს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და მთავარი მწვრთნელის პოსტიდან შოთა ხაბარელის გადაეყენების საკითხიც მოიხსნა.

2006 წელს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი იყო. ხაბარელის გუნდს ჩემპიონობას არავინ თხოვდა, მაგრამ იმედი გვქონდა, რომ საქართველოს ნაკრები საფრანგეთიდან უმედლოდ არ დაბრუნდებოდა. ნებისმიერი სინჯაის მედალი ნაკრებისთვის შეიძლებოდა ნარმატებად ჩათვლილიყო. ხაბარელმა პარიზში 10 ძიუდოისტი წაიყვანა — ზოგიერთ წონაში 2 ძიუდოისტი იყო. ირაკლი ცირეკიძეს დუბლიორი არ ჰყოლია.

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას ჩემპიონატის წინ რაიმე საკვალიფიკაციის შეჯიბრება არ ჩაუტარებია, ჩემპიონატის მონაწილეები არც ინდივიდუალური შედეგების მიხედვით შეურჩევიათ. პარიზში ასპარეზობა ნებისმიერ ქვეყანას შეეძლო, მაგრამ გუნდები, რომლებსაც ნარმატების ნაკლები შანსი აქვთ, ხარჯებს ერიდებიან და მსოფლიოს ჩემპიონატში ასპარეზობაზე უარს ამბობენ. გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეები ერთმანეთს შვიდ წონით კატეგორიაში ეჯიბრებიან და გამარჯვებულიც საერთო შედეგიდან ვლინდება. ამიტომ ნარმატების მისაღწევად საკმარისი არ არის გუნდში ერთი ან ორი ძლიერი ძიუდოისტის ყოლა. აյ ნარმატების შანსი მხოლოდ იმ გუნდს შეიძლება ჰქონდეს, რომელსაც მინიმუმ ოთხ წონაში მაინც ეყოლება ძლიერი ძიუდოისტი.



Հյեղանոնս ռռութեալոյր
տամաժեցծից ցամց ზաքրյածու
նոն յարտզելո ռռութեալոյր
սայարտզելոս յատուրոյուս-
քագրուարյէս ոլու մյուրցէս
սկզբուոմքնեն

تاզգապորվելո օնցուրմաւուու, մսուցուու ցոնճուր հիմքուրնագի 16 ցոնճս
շոնդա ցասպարչիա, մաշրամ პարութի սածուուու 13 կըցնուու նարմումացցոնլուն հիա-
ցոնդնեն. ցազուրութագ, րա տյմա ցոնճա, օապոնուա ասաելուն դնեն, րումլու նըմագ-
ցենլուն մի մսուցուու և առութեալուր հիմքուրնեն որուցենուն դնեն, տան օա-
պոնելուն տուուուր նոնու կաթյցուրուու որ-որու մուցուուու քպազգատ. մատ
մտացար կոնցուրն ցեն ցանունուուն նագրանցետո, կորյա և առ հուսետո.
անցարուուց սալաս նարմումացցոնլուն ուուլուն նուուու գունդուն կու-
ծելուն, ցուրան նուու ունցուր ունցուր ունցուր. մուուր ցոնճուր ասրայլուսաւ. սպեցու-
ալուուուն սայարտզելո ցուր մեուր ցուր նուուու ցոնճուր մունդատ և ցազու-
րութի գի ար ասաելուն դնեն, մուցուր ցուր մուսա, րում հիւրն ցոնճուր նոնա մսուցու-
ու հիմքուրնագի ունալուու ունու. աման յարտզելուն ցուր ար ունու ցազուր նոնա.
սայարտզելո նակրյան մտացարմա մնցուրնելու մուտա նակարյալմա տացու հուս



ჯარჯვი ზეიადაური,
ზურაბ უსუფაშვილი
და ირაკლი ცირეკიძე
რომ დე ფანეირო,
2007 წელი

კოლეგას სერგეი ტაბაკოვს უსაყვედურა კიდეც იმის გამო, რომ სატელევიზიო ინტერვიუში ძირითად კონკურენტებად სწორედ იაპონიის, საფრანგეთის და კორეის ნაკრებები დაასახელა, საქართველო კი არც გახსნებია.

მნიშვნელოვანი იყო შეჯაბრების წინა დღეს გასამართო კენჭისყრა. რადგანაც ჩემპიონატში 13 ქვეყანა მონაწილეობდა, შესაბამისად, სამ გუნდს მერვედფინალში დასვენება მოუწევდა. ქართველებს პირველ ეტაპზე დასვენებაზე მეტად რომელიმე შედარებით სუსტ ნაკრებთან შეხვედრა უფრო სურდათ, რადგან ასეთ მეტოქეს იოლად დაამარცხებდნენ და თან მომდევნო შეხვედრების წინ კარგადაც წაიგარჯიშებდნენ. შეიძლება ითქვას, კენჭისყრა ჩვენთვის იღბლიანი გამოდგა — პირველ მეტოქედ ეგვიპტე გვერგო, თანაც იაპონია, საფრანგეთი და რუსეთი ბადის მეორე მხარეს მოხვდნენ. მოლოდინისამებრ, ქართველებმა ეგვიპტელები იოლად, მშრალი ანგარიშით დაამარცხეს, მომდევნო მეტოქე კი უკრაინა იყო. ჩვენები თავიდანვე ისე დანინაურდნენ, რომ ბოლო შეხვედრებს აზრი დაუკარგეს. დადგა ნახევარფინალის დროც, სადაც საქართველოს ნაკრების მეტოქე სამხრეთ კორეა იყო. ბიჭები უკვე ალესილები იყვნენ, ჭიდაობის ეშხში შევიდნენ და საკუთარი ძალაც ირწმუნეს. უკვე ჩემპიონობაზე დაიწყეს ფიქრი, რადგან მეორე ჯგუფში ვითარება ჩვენთვის სასიკეთოდ იცვლებოდა. ჩემპიონატის მასპინძელმა საფრანგეთის ნაკრებმა გულშემატკიცრების აქტიური მხარდაჭერით შეძლო უპირველესი ფავორიტის — იაპონიის დამარცხება.

შესაბამისად, ქართველები ფინალში გასვლის შემთხვევაში იაპონიას აღარ შეხვდებოდნენ, თუმცა მანამდე ჯერ კორეის ნაკრები იყო ჩამოსაცილებელი.

დაბალ ნონებში კორეელები ტრადიციულად ძლიერები არიან, მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად, ნესტორ ხერგიანმა და ზაზა კედელაშვილმა საწყის ორ წონაში გამარჯვებები მოიპოვეს და ქართველები დაანინაურეს. შემდეგ დავით ქევხიშვილმა დაძაბულ ბრძოლაში დათმო შეხვედრა ოლიმპიურ ჩემპიონთან ვონ-ჰი ლისთან, წააგო გრიგოლ მამრიკიშვილმაც და ანგარიში გათანაბრდა. ფინალში ის გუნდი გავიდოდა, რომელიც დარჩენილი სამი შეხვედრიდან ორს მაინც მოიგებდა. უმნიშვნელოვანესი იყო მეზუთე დაპირისპირება, სადაც გულშემატკიცივრებისთვის თითქმის უცნობი ქართველი ირაკლი ცირეკიძე მსოფლიოს ჩემპიონს ჰი-ტაე ჰვანგს უნდა შეხვედროდა, რომელმაც 2003 წელს იაპონიის ქალაქ ოსაკაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ზურაბ ზვიადაური დაამარცხა. კორეელები დარწმუნებული იყვნენ თავისი ძიუდოისტის გამარჯვებაში. ირაკლიმაც კარგად იცოდა, რომ ძალიან ძლიერი მეტოქე ჰყავდა, მაგრამ უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებდა. ტატამზე ფეხი შედგა თუ არა, აქტიურად შეუტია. კორეელი გასაფრთხილებელი იყო, მაგრამ მსაჯები არ ჩქარობდნენ. ამან ცოტა აანერვიულა და მეტოქემ იუკო აართვა. შემდეგ ირაკლი კიდევ უფრო გააქტიურდა, მაგრამ ილეთის ჩატარებას ვერა და ვერ ახერხებდა. კორეელი ისევ პასიურობდა და, როგორც იქნა, დამსახურებული შიდო მიიღო. დრო იწურებოდა და ცირეკიძე შეხვედრას აგებდა. საფინალო სასტურენამდე ზუსტად ოთხი წამით ადრე ირაკლიმ გარისკა და მეტოქე იუკოზე დააგდო, ეს კი გამარჯვებას ნიშნავდა. გაოგნებული კორეელი ძიუდოისტი ტატამზე გაიშელართა, მას თავად ვერ გაეგო, როგორ გაუშვა ხელიდან გამარჯვება, თან მისთვის სრულიად უცნობ მეტოქესთან. ქართველები ანგარიშში დანინაურდნენ, დარჩენილი ორი შეხვედრიდან უკვე ერთის მოგებალა იყო საჭირო, თუმცა სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც გიორგი ყიზილაშვილმა მომდევნო შეხვედრა წააგო და ანგარიში გათანაბრდა. ყველაფერი მძიმეწონოსნების შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, სადაც საქართველოს ნაკრების განაცხადში ზვიად ხანჯალიაშვილი იყო. ქართველმა გიგანტმა კორეელი მეტოქე მეორე წუთზე იპონზე დააგდო. საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ფინალისტი გახდა. პარალელურად მიმდინარეობდა მეორე ნახევარფინალი, სადაც საფრანგეთის ნაკრები რუსეთს ხვდებოდა. რუსებმა გადამწყვეტი შეხვედრა მოიგეს და ფინალში გავიდნენ.



საქართველოს ნაკრებისთვის ფინალი ძალიან ცუდად დაიწყო. მოულოდნელად დამარცხდა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ნესტორ ხერგიანი. არა-და, მსუბუქ წონებში ქართველებს უცილობლად გამარჯვებები სჭირდებოდათ. სიტუაცია დამძიმდა, თუმცა მომდევნო შეხვედრები დამაჯერებლად მოიგეს ზაზა კედელაშვილმა და დავით ქევხიშვილმა. შემდეგ გრიგოლ მამრიკიშვილის დრო დადგა, რომლის მეტოქე რუსეთის პრეზიდენტის საყვარელი ძიუდოისტი, ათენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი დმიტრი ნოსოვი იყო. მამრიკიშვილმა შეხვედრა ძალიან აქტიურად დაიწყო. მსაჯებმა ერთ ეპიზოდში მამრიკიშვილის გდება იპონითაც შეაფასეს, ამ დროს ტატამის კიდესთან მყოფი ქართველები უკვე გამარჯვებას ზემობდნენ, მაგრამ მსაჯებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და იპონის ნაცვლად ვაზარი დააფიქსირეს. ამის შემდეგ მსაჯებს კიდევ რამდენჯერმე მოუხდათ გადაწყვეტილების შეცვლა, მაგრამ მამრიკიშვილმა იმდენად დამაჯერებლად იჭიდავა, რომ რუსებს მსაჯებთან მოსადაცებელი არაფერი ჰქონდათ. საქართველოს ნაკრები ანგარიშით 3:1 დაწინაურდა და მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ერთადერთი მოგებალა იყო საჭირო. 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში რუსეთის ნაკრების ლირსებას ევროპის ახალი ჩემპიონი ივან ბერძინი იცავდა. ირაკლი ცირეკიძეს კარგად ესმოდა, რომ მისი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ტატამზე გასვლის წინ ერთი კი გაიფიქრა, „თუ ნავაგებ, არა უშავს, კიდევ ორი შეხვედრაა დარჩენილი და ფინალში გასვლის შანსი მაინც გვექნება, მე თუ არა სხვა მაინც მოიგებსო,“ მაგრამ როგორც კი მეტოქეს ხელი ჩაავლო, ეს ფიქრი თავიდან ამოიგდო. პერძინს მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთადერთი შანსი მიეცა, როდესაც ცირეკიძის დაჭერა მტკიცნეულ ილეთზე სცადა, მაგრამ ქართველმა მოხერხებულად დაიძვრინა თავი. მერე ცირეკიძემ მეტოქეს იუკა აართვა, მსაჯებს რუსი ორჯერ გააფრთხილებინა კიდეც. ამასობაში დროც ამოინურა და ტატამთან მყოფი ქართველების სიხარულის ყიუინაც მოისმა. მთელი გუნდი ერთმანეთს ულოცავდა — საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა! ირაკლი მოზეიმე თანაგუნდელებს ჯერ კიდევ ტატამიდან უყურებდა. მსგავსი გრძნობა აქამდე არასდროს დაუფლებია. თავადაც მიხვდა, ამ გამარჯვებით ქვეყანას რა დიდი სიხარული მოუტანა.

დარჩენილმა ორმა შეხვედრამ აზრი დაკარგა. ბიჭები უკვე დაჯილდოებაზე ფიქრობდნენ. გულშემატკივრებით საესე „ბერსის“ დარბაზში საქართველოს ჰიმნი უნდა აუდერებულიყო, არა რომელიმე ერთი ქართველი ძიუდოისტის გა-

მარჯვების აღსანიშნავად, არამედ მთლიანად ქვეყნის პატივსაცემად. საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძიუდოს ქვეყანაა და მსოფლიოში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს.

ირაკლი ცირეკიძე თავისი კარიერის განმავლობაში ასეთი ბედნიერი აქამდე არასოდეს ყოფილა. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის მოგება, მას შემდეგ რაც უფროს ასაკში გადავიდა, პირველი დიდი გამარჯვება იყო. მან უკვე ირმუნა საკუთარი ძალა. ამ ჩემპიონატში იგი საკმაოდ ტიტულოვან მეტოქეებს შეხვდა და ოთხივე შეხვედრა მოიგო. ცხადია, ცირეკიძის სტაბილური გამოსვლა არც მწვრთნელებს გამორჩენიათ, მაგრამ ნაკრებში პოზიციების განსამტკიცებლად საჭირო იყო გამუდმებული შრომა. მით უმეტეს, ქრონიკული ტრავმიანობის მიუხედავად, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური მანც რჩებოდა სერიოზულ კონკურენტად. ვერც გულშემატკიცრები და ვერც მწვრთნელები ზვიადაურს მეორეხარისხოვანი როლისთვის ვერ იმეტებდნენ. ხალხს სხვანაირი ზვიადაური ახსოვდა და დამარცხებული გმირის ნახვა არ სურდა, ამიტომ მას ყოველთვის აძლევდნენ თავის გამოჩენის შანსს. ამგვარი ვითარება ერთგვარი სტიმულიც კი იყო ცირეკიძისთვის, რომელიც თავს მცირე ხნით მოდუნების უფლებასაც არ აძლევდა.

საერთაშორისო სეზონი, ფაქტობრივად, თბილისის საერთაშორისო ტურნირით იწყება, რომელიც ახლა მსოფლიოს თასად იწოდება. ამ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები თითოეულ წონაში 4 ძიუდოისტით უნდა გამოსულიყო და თუ ვინმეს ნაკრებში ადგილის დამკვიდრება სურდა, პირველ რიგში თავისი სიძლიერე თბილისის სპორტის სასახლეში, ქართველი გულშემატკიცრების წინაშე უნდა დაემტკიცებინა. მაყურებლები, ცხადია, განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ ირაკლი ცირეკიძისა და ზურაბ ზვიადაურის შეხვედრას, მაგრამ ეს შერკინება არ შედგა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ზვიადაური ადრეულ ეტაპზე დამარცხდა იაპონელ იუტა იაზაკისთან, რომელმაც, უკვე ფინალში, ცირეკიძესაც აჯობა.

თბილისის ტურნირი და სეზონის სხვა სასტარტო შეჯიბრებები ერთგვარი პრელუდია იყო 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ. საქართველოს ნაკრებმა რამდენიმე საწვრთნელი შეკრება უცხოეთში გაიარა, ბოლოს კი ბორჯომში გააგრძელა მზადება. ჩემინმა ძიუდოისტებმა სწორედ იქ გაიგეს ომარ მერაბიშვილის გარდაცვალების ამბავი, რაც განსაკუთრებით მძიმედ განიცადა ირაკლი ცი-



რეკიძემ. მან დაკარგა პირადი მწვრთნელი, გულისხმიერი მასშავლებელი, ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ახარებდა მისი წარმატებები. ახსენდებოდა მწვრთნელის ნათქვამი: „შენი ძმა შენს წარმატებებს იმ ქვეყანაში ელოდებაო“.

ამიერიდან მწვრთნელის წინაშეც სულ სხვა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

ირაკლიმ ვარჯიში უფრო მეტი მონდომებით გააგრძელა. ვარჯიშს შედევი უნდა მოეტანა, წარმატებების დრო ახლოვდებოდა. ევროპის ჩემპიონატი აპრილის დასაწყისში სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გაიმართა. როგორც აღმოჩნდა, საქართველოს ნაკრები ამ ჩემპიონატისთვის ძალიან კარგად იყო მომზადებული. შვიდიდან ხუთმა ძიუდოსტმა მედალი მოიპოვა, თანაც შვიდი წინითი კატეგორიის ფინალიდან ქართველებმა ოთხში იჭიდავეს. ერთ-ერთ ფინალში ირაკლი ცირეკიძემაც იასპარეზა და ევროპის ჩემპიონობასთან ძალიან ახლოსაც იყო, მაგრამ მისთვის კარგად ნაცნობ უკრაინელ ვალენტინ გრეკოვთან დამატებით დროში დამარცხდა. გრეკოვი ამ გამარჯვებით მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი, ირაკლიმ კი ოფიციალურ შეჯიბრებებში თავისი პირველი მედალი აიღო. ვერცხლის მედლით მთლად კმაყოფილი არ დარჩენილა, მაგრამ წინ იყო ბრაზილიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატი და ახლა მომავალზე უნდა ეფიქრა.

ევროპის ჩემპიონატის ვერცხლი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ირაკლის ბრაზილიის საგზური უკვე ჯიბეში ედო. ზვიადაურსაც ჰქონდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭიდაობის სურვილი. ხაბარელს ამათ შორის საუკეთესო უნდა აერჩია. საუკეთესო კი ჩემპიონატამდე დარჩენილ საერთაშორისო ტურნირებს უნდა გამოვლინა. მორიგი ასეთი ტურნირისთვის აპრილის ბოლოს რომს უნდა ემასპინძლა. ცირეკიძე გრძნობდა, რომ იტალიაში საასპარეზოდ მზად არ იყო. ფსიქოლოგიურად უფრო უჭირდა. შეჯიბრის წინ გაციდა კიდეც. ბუნებრივია, ასეთ დროს იტალიაში გამგზავრება მიზანშეუწონლად მიაჩნდა, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ სხვაგვარად გადაწყვიტა.

საშეჯიბრო პრაქტიკის ნაკლებობის მიუხედავად, იმ პერიოდში ზურაბ ზვიადაური ურიგო ფორმაში არ იყო. ირაკლი ცირეკიძემ კი თავისი ბოლოდროინდელი წარმატებების წყალობით საერთაშორისო რეიტინგში წინ წაიწია და რომის მსოფლიოს თასზე ორგანიზატორებმა მეორე ნომრად განთესეს. ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ მაინც თავისი გაიტანა — ირაკლი შეჯიბრებისთვის სათანადო ვერ განეწყო და პირველსავე შეხვედრაში დამარცხდა ტურნირის

როგორც ნამდვილ
ფავორიტს შეეცერებოდა





ტატამზე გაკრულმა რუსმა
ფალავანმა ივან პერშინმა
თავზე ხელი შემოირტყა.
მიხვდა, ვეღარ გაექცოდა
ქართველის მარწეხებს და
ნაგებას შეურიგდა.

მომავალ ფინალისტთან, ფრანგ მეთიუ დაფრევილთან. ზვიადაურმა მხოლოდ ნახევარფინალი დამტომ მომავალ გამარჯვებულთან, ბელორუს ანდრეი კაზუ-სიონოკთან. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ცირკეკიძემ დამამშვიდებელ ჯგუფში იყოჩაღა და მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ზვიადაურს დაუპირისპირდა. ირაკლის არასოდეს ხიბლავდა ზვიადაურთან პაექრობა, თითქოს მასთან თავს შებოჭილად გრძნობდა, თავის შესაძლებლობებს ვერ ავლენდა. ზვიადაური კი პირიქით იყო — ცირკეკიძესთან ხალისით ჭიდაობდა, თითქოს იცოდა, როგორ უნდა დაემარცხებინა მეტოქე. ზვიადაურმა ამჯერადაც გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, ხაბარელს ჯერ მაინც არ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ ვის წაიყვანდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. მართალია, პირად შეხვედრებში ზვიადაური ცირკეკიძეს სჯობდა, სამაგიეროდ ირაკლი უცხოელებთან ჭიდაობდა უკეთესად. სამიოდე კვირაში საქართველოს ნაკრები კიდევ ერთ მსოფლიოს თასზე გაემგზავრა, ამჯერად — ბუქარესტში. იქ ირაკლი ზვიადაურზე უკეთ გამოვიდა და ხაბარელმა გადაწყვეტილება მიიღო: მსოფლიოს ჩემპიონატზე ცირკეკიძე წავა!

ბრაზილიაში გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრებმა გერმანიის ქალაქ ბრაუნშვაიგში იასპარეზა. ტურნირში, რომელსაც ევროპის თასის სტატუსი ჰქონდა, საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ირაკლის 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ასპარეზობისას წონის დაკლების პრობლემა არ ჰქონია, მაგრამ შოთა ხაბარელი მაინც მოერიდა თუნდაც გრამების კლებას და ცირკეკიძე ბრაუნშვაიგში 100 კილოგრამში აჭიდავა. ირაკლიმ სამ მეტოქეს (მათ შორის, ევროპის ჩემპიონ რუსლან გასმოვს) მოუგო, მეოთხედფინალში კი მომავალ გამარჯვებულთან, ჰოლანდიელ ჰენკ გროლთან დამარცხდა. ამ წონაში ირაკლისგან მაღალ ადგილს არავინ ითხოვდა და შოთა ხაბარელიც შეგირდით კმაყოფილი დარჩა.

რიო-დე-ჟანეიროში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე, გარდა მედლებისა, ოლიმპიური ლიცენზიები თამაშდებოდა. პირველ ხუთეულში გასული ძიუდოისტები ავტომატურად ხდებოდნენ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მფლობელები, ხუთეულს მიღმა დარჩენილებს კი ამ ლიცენზიისთვის მომდევნო ტურნირებში უნდა ებრძოლათ.

საქართველოს ნაკრებმა ბოლო ათდღიანი შეკრება უშუალოდ ბრაზილიაში — სან-პაულუში გაიარა. აქვე იყო საბერძნეთის ნაკრებიც, რომლის ძირითად ბირთვეს საქართველოდან წასული ძიუდოისტები შეადგენდნენ, მწვრთნელად



յո შოთა ხაბარელის მეგობარი, ჩვენი ყოფილი თანამემამულე კოლია ილიადისი ჰყავდა. ბერძენთა გუნდის ლიდერს, ოლიმპიურ ჩემპიონს ილიას ილიადისს (ჯარჯი ზვიადაური) და ირაკლი ცირეკიძეს ერთ წონაში უწევდათ გამოსვლა და ერთადაც ვარჯიშობდნენ. ბუნებრივია, საუბრობდნენ მომავალი ჩემპიონატისა და პოტენციური მეტოქეების შესახებ, არჩევდნენ მათ სუსტ და ძლიერ მხარეებს. ერთ-ერთ ვარჯიშზე ირაკლი ჯარჯის გაეხუმრა:

- ჯარჯი, წუხელ სიზმარი ვნახე. ორივენი კვარცხლბეკზე ვიდექით, ოლონდ შენ ჩემზე ერთი საფეხურით დაბლა იყავი.
- ოღონდ მედლები ავიღოთ და ვინ დაბლა იქნება და ვინ მაღლა, რაღა მნიშვნელობა აქვს, — ღიმილით უბასუხა ჯარჯიმ.

რომ-დე-ჟანეიროში მსოფლიოს ჩემპიონატი სექტემბერში ვაიმართა. საქართველოს ნაკრები რიოში სან-პაულუდან შეჯიბრების დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩავიდა. ირაკლის ჩემპიონატის მეორე დღეს უნდა ესპარეზა. ოლიმპიადისგან განსხვავებით, მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობას ლიცენზია არ სჭირდება, ამიტომაც აქ, როგორც წესი, თთოეულ წონაში უფრო მეტი ძიუდოისტები იყრიან თავს. შესაბამისად, გამარჯვების მოსაპოვებლად უფრო მეტი შეხვედრის ჩატარებაა საჭირო. 90 კოლოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყველა უძლიერესი ძიუდოისტები შეიკრიბა, სულ — 56 სპორტსმენი. კენჭისყრის შემდეგ ირაკლის კმაყოფილების მიზეზი ნამდვილად არ ჰქონდა. მას არ უყვარდა კორეელებთან დაპირისპირება, რადგან კორეელებს ჭიდაობის თავისებური სტილი აქვთ. ისე მოხდა, რომ პირველ წრეში პოლონელ ძიუდოისტთან გამარჯვების შემთხვევაში, მეორე შეხვედრა უკვე კორეელთან უწევდა. არადა, პოლონელი ვეგლარზიც არ იყო ხელნამოსაკრავი მეტოქე. ბადის იმ მხარეს, სადაც ირაკლი იყო, ასევე მოხვდნენ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, იაპონელი იზუმი, რუსი ბერშინი, ფრანგი დაფრევილი, ბელორუსი კაზუსიონაკი, იტალიელი მელონი, ესპანელი ალარზა, აზერბაიჯანელი მამადოვი. მოკლედ წინ დიდი ბრძოლები ელოდა.


ბრაზილიაში ქართველთა საქომაგოდ გულშემატკივართა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ჩავიდა. ქართველები 90 კგ წონით კატეგორიაში ცირეკიძესთან ერთად ჯარჯი ზვიადაურსაც გულშემატკივრობდნენ — „ცირეკ, ცირეკს“ „ჯარჯი, ჯარჯის“ შეძახილები ცვლიდა. კენჭისყრის მიხედვით, ირაკლი და ჯარჯი ერთმანეთს ფინალამდე არ შეხვედროდნენ, თუ, რა თქმა უნდა, ორივე სპორტსმენი მანამდე ყველა შეხვედრას მოიგებდა.





ირაკლი ცირეკიძისა
და ამარ ბენიბლეფის
ფინალური შეხვედრა.
ალურელი მოჭიდავე
ბრძოლას აშეარად
გაურჩოდა, რას გამოც
გაფრთხილება (შედო)
შიღლო, ცირეკიძემ კი —
კოკა. ეს უპირატესობა
საქმარისი აღმოჩნდა
ოლიმპიური ოქროს
მოსაგებად.
ბექინი, 2008 წელი





ფინალი მოგებულია,
ირაკლი ცირეკიძე
ოლიმპიური ჩემპიონია

ირაკლიმ პოლონელ კრუიუტოფ ვეგლარზთან სასტარტო ბრძოლა აქტიურად დაიწყო, მეტოქეს შიდო მიაღებინა და დაწინაურდა, მეოთხე წუთზე კი პოლონელმა ტრავმის გამო შეზედრის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ირაკლის მომდევნო მეტოქე იყო გამოცდილი კორეელი სუ-ჰო, რომელმაც პირველ წრეში დაისვენა. კორეელმა ოთხი თვის წინ აზის ჩემპიონატში გაიმარჯვა და რიოში მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების იმედით ჩავიდა. ირაკლიმ მეტოქეს თავიდანვე შეუტია, თავის ანგარიშზე ჯერ ვაზარი მიითვალა, შემდეგ — იუკო. დარჩენილ დროში ტაქტიკურად იჭიდავა, მსაჯებისგან თავად მიიღო გაფრთხილებები პასიურობის გამო, მაგრამ მაინც გაიმარჯვა და მესამე წრეში გავიდა. აქ მისი მეტოქე იყო მონლოლი ბატბაიარ არიუნ-ერდენე. მონლოლმა ქართველს დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ოთხი წუთი ისე მიიღია, მეტოქეებმა ქულა ვერ მოიპოვეს და მსაჯსაც არ მისცეს გაფრთხილების საბაბი. ირაკლიმ ბოლო წუთზე მაინც მოახერხა მონლოლის იპონზე დაგდება. მეოთხედფინალში, მონლოლის მსგავსად, ცირკეიძემ აზერბაიჯანელი ელხან მამადოვიც ბოლო წუთზე დასცა იპონზე და ნახევარფინალში გავიდა. ქართველი გულშემატკივრები ელოდნენ, რომ ამ ეტაპზე ცირკეიძეს იზუმისთან ან პერშინთან მოუწევდა დაპირისპირება, მაგრამ იზუმის დამარცხებელ პერშინს შემდეგ იტალიელმა მელონიმ მოუგო. ირაკლის ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მარცხის გამო რევანშის აღების შანსი ეძლეოდა. ქართველმა ძიუდოისტმა ეს შევეძრაც ისევე ტაქტიკურად ზუსტად იჭიდავა, როგორც წინა დაპირისპირებები. მეტოქეს ჯერ გაფრთხილება მიაღებინა, ბოლო წუთზე კი კოკაც აართვა და ფინალში გავიდა.

მეორე ფინალისტი ილიას ილიადისი გახდა. ქართველი გულშემატკივრები აქამდე ჯარჯვი ზეიადაურს მხურვალედ ქომაგობდნენ, მაგრამ ჯარჯვის მათი მხარდაჭერის იმედი უკვე აღარ უნდა ჰქონოდა. ქართული დელეგაციისთვის ბევრს წიმნავდა მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი. ბოლოს ქართველებმა 18 წლის წინ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა. მაშინ, 1989 წელს, იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ კობა კურტანიძე და ამირან ტოტიკაშვილი, დამოუკიდებელ საქართველოს კი მსოფლიოს ჩემპიონი აქამდე არ ჰყოლია. სხვათა შორის, ამირან ტოტიკაშვილი ამჯერად რიო-დე-ჟანეიროში იყო და ირაკლის ქომაგობდა. სწორედ ფინალის წინ ამირანმა ირაკლი ცალკე გაიყვანა, ტატამზე დააწვინა, წყალი შეასხურა, გა-



ამხნევა. შემდეგ უკვე შოთა ხაბარელის ჯერი დადგა. მას უნდა შეემუშავებინა ბრძოლის ტაქტიკა საკმაოდ კარგად ნაცნობი მეტოქის წინააღმდეგ. ამას გარდა, უნდა მოეფიქრებინათ უშუალოდ ჭიდაობის მსვლელობისას საჭირო მითითებების ახალი სისტემა, ასე ვთქვათ, „კოდირებული ქართულით,“ რადგანაც ლია მითითებების „გაშიფრა,“ გასაგები მიზეზების გამო, მეტოქეთა ბანაჟს არ გაუჭირდებოდა. ხაბარელმა კარგად იცოდა ირაკლის დადებითი მხარეები და ჯარჯის სუსტი წერტილები, ტაქტიკაც შესაბამისი დაგეგმა. თავის შეგირდს მოელაპარაკა, მეტოქეთათვის გამოცანად უნდა დარჩენილიყო მისი შეძახილები, თავად კი ეცოდინებოდათ, რომელი მითითება რას წიშნავდა.

ცხოვრებაში მეგობრები ტატამზე მეტოქეებად იქცნენ. აქამდე მათ ოფიციალურ შეჯიბრებებში ერთმანეთთან ორჯერ ეჭიდავათ და ორივეჯერ გამარჯვებული ირაკლი დარჩა. წინა წელს მან ჯარჯი ჯერ იაპონიაში ძიგორო კანოს ტურნირზე დაამარცხა, შემდეგ კი ლისაბონში მსოფლიოს თასის ფინალი მოუგო.

...90 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ფინალისტები საჭიდაოდ იხმეს. მსაჯმა მისცა ნიშანი და ფინალიც დაწყო. ქართული ტრიბუნიდან, ამჯერად, მხოლოდ „ცირკე, ცირკე“ ისმოდა. ჯარჯიმ ჭიდაობა აქტიურად დაიწყო. იგი მომგებანი ქულის მოპოვებას იძრითადად ფეხიდან აყვანით ცდილობდა. მეტოქეს რამდენჯერმე შეუტია, მაგრამ ირაკლი შეტევებს იგერიებდა და თავად გადადიოდა კონტრშეტევაზე, თუმცა მეტოქეც ახერხებდა თავდაცვას. მეორე წუთზე სნორედ მსგავსი სიტუაცია შეიქმნა. მთავარმა მსაჯმა პასიურობისთვის ირაკლი გააფრთხილა კიდეც, მაგრამ მას გვერდითი მსაჯები არ დაეთანხმნენ და ტაბლოზე ანგარიში არ შეცვლილა. ირაკლი ამჩნევდა, რომ რამდენიმე უშედეგო შეტევის შემდეგ მისი მოწინააღმდეგე ცოტა მოეშვა. ამ დროს კი შოთა ხაბარელი თავის შეგირდს შეუძახებდა, „რომ მოვილაპარაკეთ, ის უნდა გააკეთო“. გვერდით მჯდომ კოლია ილიადისს ესმოდა შოთას სიტყვები, მაგრამ ის კი ვერ გაეგო, რა შეიძლებოდა მოელაპარაკათ მათ მეტოქებს. ცოტა ხანში ირაკლიმ ინიციატივა ხელთ იგდო. მეტოქეს თავად შეუტია, მთავარმა მსაჯმა ამჯერად ცირკეიძის კოკა დააფიქსირა, მაგრამ გვერდითი მსაჯები არ დაეთანხმნენ და 5 წუთი ისე გაილია, მეტოქებს არც ქულა ჰქონდათ მოპოვებული და არც გაფრთხილება მიღებული. დაინიშნა დამატებითი დრო. ჯარჯიმ მეტოქის აყვანა ისევ ფეხიდან სცადა, ირაკლიმ თავი დაიცვა და თავად შეუტია, დაღლილი ჯარჯი ველარ გაუმკლავდა მეტოქის კონტრშეტევას. მსაჯებმა იუკო დააფიქსირეს.

ირაკლი ცირეკიძე
ოლიმპიურ კვარცხლბეჭები
შევი ლენტით ხელში აფიდა
და მისი ეს ჟესტი ყველას-
თვის გასაგები იყო. ოლიმ-
პიურმა ჩემპიონმა თავისი
ოქროს მედალი რუსეთთან
ომში დალუპულ თანამემა-
მულებთა ხსოვნას მოუძღვა.



ქართველთა ტრიბუნას სიხარულის ყიუინა მოსწყდა. მსაჯმა გამარჯვების ნიშ-
ნად ხელი საქართველოს სახელით მოასპარეზე ქართველისკენ გაიშვირა. შემ-
დეგ მეტოქები ერთმანეთს გადაეხვივნენ. დარბაზში კიდევ ერთხელ გაისმა ტა-
ში. ნეიტრალური მაყურებელი კმაყოფილი დარჩა იმ ძიუდოს ნახვით, რომელიც
მათ ქართველებმა შესთავაზეს.

ცოტა ხანში ორივე მათგანს დოპინგტესტის ჩასაბარებლად უხმეს. მათაც
მშვიდად გაიარეს ეს პროცედურა და სასტუმროსკენ მიმავალი ავტობუსისკენ
ერთად გაემართნენ. ისინი გვერდიგვერდ ისხდნენ, მაგრამ ჩავლილი დაპირის-
პირების შესახებ სიტყვაც არ დაცდენიათ. ძველი ამბები გაიხსენეს, სამომავლო
გეგმებზე ისაუბრეს და მეგობრულად დასცილდნენ ერთმანეთს.

მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებასთან ერთად ირაკლიმ პეკინის ოლიმპია-
დის საგზურიც მოიპოვა. უფრო სწორად, მან ეს საგზური საქართველოს მოუ-
ტანა. ოლიმპიადამდე თითქმის ერთი წელი რჩებოდა და არავინ იცოდა, რა მოხ-
დებოდა ამ პერიოდში. ოლიმპიადაზე ნამსვლელი ძიუდოისტის ვინაობა ისევ
მწვრთნელებს უნდა დაედგინათ, თუმცა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ცირე-
კიძისთვის თავისთავად სერიოზული საოლიმპიადო დივიდენდი იყო. ცხადია,
ამას ირაკლიც გრძნობდა და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვარჯიშს მოუკ-
ლო, რის გამოც შოთა ხაბარელის საყვედური დაიმსახურა.



ირაკლი ცირეკიძე,
მანუჩარ კვირკველია და
რევაზ მინდორაშვილი
პეტერბურგის „აკრძალული
ქალაქის“ შესასვლელთან

მწვრთნელი ცდილობდა დაერწმუნებინა მოწაფე, რომ ოლიმპიადაზე წარმატებისთვის აუცილებელი იყო როგორც თავდაუზოგავი შრომა, ასევე სხვა-დასხვა ტურნირებში ასპარეზობა, მაგრამ ირაკლის თითქოს ამ ტურნირებში გამოსვლა აღარ ხიბლავდა. ხაბარელი ფიქრობდა, რომ ირაკლი მუდმივად რეჟიმში უნდა ყოფილიყო. წარმატებისთვის მხოლოდ ასე შეიძლებოდა მიეღწიათ, მაგრამ გამოცდილმა მწვრთნელმა ისიც კარგად იცოდა, რომ დიდ სპორტსმენებს, მეტნილად, ჭირვეულობა ახასიათებთ. ირაკლი კი უკვე მიაჩნდა დიდ სპორტსმენად და კარგად ხვდებოდა, რომ მასთან ზედმეტ სიმკაცრეს უარყოფითი შედეგი უფრო შეიძლებოდა მოეტანა, ვიდრე დადებითი. ხვდებოდა, რომ ურთიერთობა ჰქონდა უნიკალურ სპორტსმენთან, რომელსაც შეეძლო ოლიმპიადის მოგებაც და თუ ის მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლის შემდეგ ოლიმპიურ ოქროსაც მოიპოვებდა, მსგავსი შედეგის მქონე ერთადერთი ქართველი ძიუდოისტი შეიქმნებოდა. ასეთ ძიუდოისტს კი მოფრთხილება სჭირდებოდა. ხაბარელი ირაკლის ისე ვეღარ მოექცეოდა, როგორც სხვა ძიუდოისტებს. ამიტომაც ზოგჯერ თვალის დახუჭვა უწევდა სპორტსმენის უცნაურ საქციელზე. ერთხელ, შეკრებიდან თბილისში მობრუნების შემდეგ, როცა მწვრთნელს ეგონა, რომ ირაკლი ქუთაისში იყო და გარჯიშს იქ აგრძელებდა, მშობლები კი ფიქრობდნენ, რომ ირაკლი შეკრებაზე იმყოფებოდა, მსოფლიოს ჩემპიონი ამ დროს, თურმე, ზღვაზე ისვენებდა. ხაბარელმა ეს ამბავი, რომ გაიგო, მაგრად ეჩხუბა, მაგრამ არ დაუსჯია. ირაკლიმ თითქოს კარგად იცოდა თავისი შესაძლებლობები. იცოდა, როდის სჯობდა ევარჯიშა და როდის დაესვენა, როდის დაეძინა, როდის გაეღვიძა. საკვებად რა შეერჩია, წონა როდის და როგორ დაეკლო. ხანდახან თავს ღვინის დალევის უფლებასაც კი აძლევდა.

შოთა ხაბარელი ბორჯომში შეკრების დროს ძიუდოისტებს ნათესავებთან და ახლობლებთან ურთიერთობას უკრძალავდა. ირაკლი კი მეუღლისა და პატარა ელეს გარეშე ვეღარ ძლებდა. როცა დროს მონახავდა, მანქანით ქუთაისში გავარდებოდა ისე, რომ მწვრთნელებს არ გაეგოთ და შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდა. ვარჯიშზე არ აგვიანებდა. შემდეგ ჭკუა იხმარა და ქუთაისში სირბილს ცოლ-შვილის ბორჯომში ჩაყვანა ამჯობინა, თუმცა მწვრთნელებს არც ეს უნდა შეემჩნიათ. თავად ატყობდა, რომ ოჯახის წევრებთან ახლოს ყოფნისას უფრო უეკი გრძნობდა თავს. თვითონ ხომ შეკრებაზე იყო და გარჯიშობდა, თან ცოლ-შვილიც დასასვენებლად ჰყავდა და ისინიც მასთან იყვნენ.



ოლიმპიადამდე, გაზაფხულზე საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიაში იასპარეზა. ირაკლის შანსი ჰქონდა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლისთვის ევროპის ჩემპიონის ოქროც მიემატებინა. ორგანიზატორებმა ცირკებიერ ჩემპიონატში პირველ ნომრად განთესეს. თავიდან ფავორიტის სტატუსს ამართლებდა, მაგრამ ნახევარფინალში მოულოდნელად დამარცხდა აზერბაიჯანელ ელასნ მამადოვთან. ცირკებიერ, რომლის წინააღმდეგ მომგებიანი ქულის მოპოვება ყველასთვის დიდი პრობლემაა, ვაზარიზე დავარდა. შემდეგ კი სცადა მდგომარეობის გამოსწორება, იუკონ აილო, მსაჯებს მეტოქე გააფრთხილებინა კიდეც, მაგრამ გამარჯვებისთვის დრო არ ეყო. ბოლო შეხვედრაში ირაკლიმ იტალიელი რობერტო მელონი დაამარცხა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ხაბარელი ირაკლის მკაცრად ელაპარაკა. აუხსნა ის მიზეზები, რის გამოც წააგო შეხვედრა მამადოვთან. იგი ხედავდა, რომ ცირკებიერ შეეძლო ოლიმპიური ოქროს მოპოვება და სურდა თავისი მონაფისთვის სწორი მიმართულება მიეცა, დაერნმუნებინა იგი ვარჯიშისა და ტურნირებში მონაწილეობისა უცილებლობაში. ხაბარელი ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, რომ ირაკლი ყველა მის რჩევას ყურს დაუგდებდა, მაგრამ იმაში კი იყო დარწმუნებული, რომ სწორად იქცეოდა. ოლიმპიადამდე ცოტა დრო რჩებოდა და ახლა მთელი ყურადღება პეკინისთვის მომზადებაზე უნდა ყოფილიყო გადატანილი. ეს ირაკლიმაც კარგად იცოდა, მაგრამ... ქუთასიში მოტოციკლეტით გასეირნება მოინდომა, მოსახვევში მოუცურდა და მუხლი დაიზიანა. რა თქმაუნდა, ამ ამბავს მწვრთნელებს ვერ გაუმზელდა, თქვა, რომ ფეხი ფეხბურთის თამაშისას იტკინა.

ბაკურიანში შეკრებაზე გამგზავრებისას ფეხი იმდენად არ აწუხებდა, მაგრამ ტკიფილი თანაბათან უფრო გაუსაძლისი გახდა. ზურაბ კახაბრიშვილმა ირაკლი კლინიკაში წაიყვანა. იქ საგულდაგულოდ გასინჯვის და ოპერაციის გაკეთება ურჩიეს: „შვილო, ამ ფეხით ვარჯიში და ჭიდაობა კი არა, საერთოდ როგორ დადიხარ, ეგ არის გასაკვირი. აუცილებლად ოპერაცია გჭირდებაო,“ — უთხრა გამოცდილმა ექიმმა. გასინჯვისას დაადგინეს, რომ მენისკი ნაწილობრივ გაგლეჯილი იყო, უკანა რქა კი — დაზიანებული. „რა დროს ოპერაციაა, თვენსხევარში ოლიმპიადა იწყება,“ — გაიფიქრა ირაკლიმ და ოპერაციის გაკეთება იუარა. ისევ ნემსებით და გამაყუჩებლებით უნდა გასულიყო ფონს.

ნაკრებმა ბაკურიანიდან ბორჯომში გადაინაცვლა. ირაკლი მთელი დატვირთვით ვერ ვარჯიშობდა, მასაჟისტთან დადიოდა. მკურნალობა კი ზურაბ კახაბრიშვილმა ითავა. ბორჯომშივე იმყოფებოდა ირაკლის პირადი მწვრთნელი მერაბ მერაბიშვილი, რომელთან საუბარშიც ირაკლის წამოცდა მოპედზე სეირნობის ამბავი. მერაბი სულ გადაირია: „ბიჭო, რა მოპედი, წინ ოლიმპიადა გაქვს, ამხელა შევიძრებაა, მთელი ცხოვრება ხალხი ამ ოლიმპიადისთვის ემზადება და ახლა გინდა წყალში ჩაყარო ყველაფერი? რა გემოპედება. ჯერ იჭიდავე და მერე რაც გინდა ის გიქნია...“ — სიტყვებს ვერ პოულობდა მერაბი. შეკრება ისე მიიღია, ერთი საკონტროლო შეხვედრაც არ უჭიდავია. ბოლოს მაინც გადაწყვიტა ჭიდაობა, მაგრამ მუხლში ისეთი ტკივილი იგრძნო, მთელი ღამე ვერ დაიძინა. ძალიან ნერვიულობდა: „რომ არ მომირჩეს ტკივილები და ოლიმპიადაზე ჭიდაობა რომ ვერ შევძლო? არა, არა, სულ რომ მომძვრეს ეს ფეხი, ოლიმპიადაზე მაინც ჩავალ და ვიჭიდავება,“ — თავისთვის ფიქრობდა ირაკლი. ზურაბ კახაბრიშვილი დღეში ოთხ ნემსს უკეთებდა. ცოტა მომჯობინდა.

ნაკრები ოლიმპიადისწინა შეკრებაზე ყაზახეთში გაემგზავრა. ხაბარელმა ყაზახეთში ნაკრების ორი შემადგენლობა წაიყვანა - ოლიმპიადაზე წამსვლელებს სპარინგბარტნიორები სჭირდებოდათ. ცირკებიძეს პარტნიორობას ვარ-ლამ ლიპარტელიანი უნდევდა, რომელსაც, თუ ამის საჭიროება იქნებოდა, ირაკლის წაცვლად თავად უნდა ეჭიდავა პეკინში. ძიუდოს უფლშემატკივარების და სპეციალისტების წანილი ისედაც ურჩევდა შოთა ხაბარელს, ოლიმპიადაზე წაეყვანა სწორედ ლიპარტელიანი, რომელიც ზედიზედ იგებდა ახალგაზრდულ თუ მოზრდილთა ტურნირებს. მაგრამ ხაბარელი თავს უფლებას ვერ მისცემდა, უარი ეთქვა მსოფლიოს ჩემპიონზე და ოლიმპიადაზე წაეყვანა თუნდაც დიდი პერსპექტივის მქონე, მაგრამ ნაკლებად გამოცდილი ახალგაზრდა.

ირაკლი თანდათან მომჯობინდა, ფეხი ნაკლებად აწუხებდა, ატყობდა, რომ უფრო მეტ და მეტ ფიზიკურ დატვირთვას გაუძლებდა. ლიპარტელიანის სპარინგპარტნიორობით კმაყოფილი იყო. მოსწონდა კონკურენტის ჭიდაობის მანერა და სიამოვნებით ვარჯიშობდა მასთან. მართალია, ჯერ ვერ იყო სასურველ ფორმაში, მაგრამ ამჩნევდა, რომ ორგანიზმი აძლევდა უფრო მეტის საშუალებას და შეეძლო ოლიმპიურ გამარჯვებაზე ეფიქრა.

ყაზახეთიდან ხშირად ეკონტაქტებოდა მეუღლეს. ქეთი ყაზახეთში გამომგზავრებამდე ბორჯომშიც გვერდით ჰყავდა მწვრთნელებისგან მალულად. იცო-



და, რომ ბორჯომის შეკრების შემდეგ ყაზახეთში უნდა წასულიყვნენ, იქიდან კი-დევ ჩინეთში და თვეზე მეტხანს ვერ ნახავდა ცოლ-შვილს, ამიტომ სხვაგვარად არ შეეძლო მოქცეულიყო. ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას ქეთიმ მორიგი სიზმარი გაანდო: „ვნახე, რომ ოლიმპიადას იგებ და თან ფინალში შავკანიანს ხვდები“. მეგობრებიც ხშირად ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, ოლიმპიადას აუცილებლად მოიგებო. ირაკლიც მხოლოდ ოქროზე ფიქრობდა. ბავშვობიდან თითქოს შთაგონებული ჰქონდა — როგორი პირადი ცხოვრებაც არ უნდა ჰქონოდა, სრული ბედნიერებისთვის აუცილებელი იყო ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. მეგობრებთან ერთად ხშირად დადიოდა მოწამეთაში. ყაზახეთში წასვლის წინაც კიდევ ერთხელ იყო იქ ზურაბ კახაბრიშვილთან და დავით ქევხიშვილთან ერთად.

შოთა ხაბარელმა, რა თქმა უნდა, იცოდა ირაკლის ფეხის ამბავი. სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი გურამ რატიშვილი გაკვირვებული იყო ირაკლის ორგანიზმის რეაბილიტაციის უზარით. ხედავდა, რომ ცირეკიძე კარგად იტანდა დატვირთვებს, იოლად შეეძლო ტრავმის მოშუშებაც. ხაბარელს ირაკლის ფსიქოლოგიური მდგრადობა უფრო ახარებდა. ამჩნევდა, როგორ ისწრაფოდა ცირეკიძე ოლიმპიური ჩემპიონობისკენ, როგორი მონდომებით ასრულებდა მის ყველა დავალებას. „ირაკლი, შენ შეგიძლია გახდე საქართველოს ისტორიაში ერთადერთი ძიუდოისტი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატიც მოგებული ექნება და ოლიმპიადაც. შენ შეგიძლია გავჯობო ყველას, მაჯობო მეც და კიდევ ბევრს,“ — ეუბნებოდა ყაზახეთში ყოფნისას ხაბარელი. ვარჯიშის შემდეგ კვლავ გაუმეორებდა იგივეს. ეს არ იყო მხოლოდ შესაგულიანებლად ნათქვამი სიტყვები. ხაბარელს მართლაც სჯეროდა ცირეკიძისა და ლიად ეუბნებოდა სათქმელს.

...საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ჩინეთის დედაქალაქში ყაზახეთიდან ჩავიდა და ვარჯიში უკვე პეკინში გააგრძელა. ძიუდოისტთა შეჯიბრება ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის მომდევნო დღეს იწყებოდა. შოთა ხაბარელმა ბიჭებს, ასე ვთქვათ, თავისუფალი გრაფიკი დაუწესა და ისინიც სურვილის მიხედვით ვარჯიშობდნენ. ირაკლი ვარჯიშზე თანაგუნდელებს კი ახლდა, მაგრამ თავად არ გადიოდა ტატამზე. გურამ რატიშვილი ამბობდა, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდისო.

...ოლიმპიადის გახსნის ცერემონიისთვის საქართველოს მთელი დელეგაცია ემზადებოდა. ირაკლიც გამოეწყო ცივილურ ფორმაში, დელეგაციასთან ერთად სურათიც გადაიღო, მაგრამ გახსნაზე არ წასულა. ბოლო მომენტში ოლიმ-



პეტრინსა და ათენის
ოლიმპიური თამაშების
ჩემპიონებს — ინაქლიო
ცირეკიძეს და ზურაბ
ზვიადაშვილს მიესალმა
გიგი ბერიძეაშვილი.
თბილისის აეროპორტი,
2008 წლის 27 აგვისტო

პიურ სოფელში დაბრუნება გადაწყვიტა და ამის თაობაზე თანაგუნდელ საბა
გავაშელიშვილს უთხრა. გახსნის ცერემონიას ტელევიზიით უყურა. ხანდახან
ტელევიზორს რუსულ არხებზე გადართავდა, სადაც საქართველო-რუსეთს შო-
რის დაწყებული ომის კადრებს აჩვენებდნენ.

მომდევნო დღეს ძიუდოისტთა ტურნირს დაესწრო, ნახა როგორ დამარ-
ცხდა ნესტორ ხერგიანი. სალამოს კი ოლიმპიურ სოფელში ქართული დელეგა-
ციის ბჭობის შემსწრევი გახდა. ქართველები ოლიმპიადის დატოვების შესახებ
გვიანობამდე კამათობდნენ. ჯერ გადაწყვიტეს, რომ ტოვებდნენ პეტრის და სამ-
შობლოში ბრუნდებოდნენ, შემდეგ კი გადაიფიქრეს. ირაკლი ადრევე გაერიდა
იქაურობას და საძინებელ ოთახს მიაშურა.

პეტრიში მყოფი ჩვენი ოლიმპიელები საქართველოში შექმნილ მდგომარეო-
ბაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე უშუალოდ მომზად შეჯიბრებაზე. ირაკ-
ლი ყოველივეს ძალიან განიცდიდა, მაგრამ გარეგნულად არ იმჩნევდა.



გათენდა 10 აგვისტო.

წააგო ზაზა კედელაშვილმაც.

ირაკლი მოპკიდებდა ხელს სპორტულ ჩანთას და დარბაზში იმ იმედით წავიდოდა, რომ ივარჯიშებდა, მაგრამ ვარჯიშს გულს ვერ უდებდა. საღამოს დაკეცილ კიმონოს უკან, ოლიმპიურ სოფელში წამოიღებდა. როდესაც მწვრთნელი ჰქითხავდა, „რა ჰქინი, ხომ ივარჯიშე,“ მოკლედ პასუხობდა — „კი, ვივარჯიშე“.

დადგა 11 აგვისტო.

წააგო დავით ქევხიშვილმაც.

ირაკლის ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ფიქრი სულ გადაავინწყდა. გარშემო მხოლოდ ომის თემაზე საუბარი ესმოდა. ყველანი განცდებში იყვნენ. საღამოს ხაბარელმა ისევ ჰქითხა: „ივარჯაშე?“ „კი, ვივარჯიშე,“ — უპასუხა ირაკლიმ. არადა, ამდენი დღის განმავლობაში წესიერად არც უგარჯიშია — მხოლოდ ერთხელ ირბინა მსუბუქად. საღამოს, ბიჭები ოლიმპიურ სოფელში რომ შეიკრი-

ბანუჩარ კვირკველია,
ირაკლი ცირეკიძე, ემზარ
ზენიშვილი, გოგი თოფაძე
და ლერი ხაბელოვი.
პეტრის ოლიმპიური
სოფელი, 2008 წელი

ბებოდნენ, მთავარი სასაუბრო თემა, ცხადია, ისევ ომი იყო. ირაკლი საუბარში იშვიათად ერთვებოდა, სხვებს მოუსმენდა, გაბრუნდებოდა და ჩუმად წავიდოდა დასაძინებლად. მისი ასპარეზობის დღეც ახლოვდებოდა.

მოვიდა 12 აგვისტო.

წააგო საბა გავაშელიშვილმაც.

ირაკლი თავისთვის ჩაფიქრდა: „ეს ყველაფერი ჩაივლის, ოლიმპიადაც დამთავრდება და მერე რა უნდა ვქნა, თავის მართლება დავიწყო, რომ ქვეყანას უჭირდა და ამიტომ ვერ ვიჭიდავე-მეთქი?! ასე არ გამოვა. არა, ირაკლი, აბა თავი დაანებე მაიმუნობას!... მოპიდა ხელი კიმონოს, გავაშელიშვილს სპარინგობა სთხოვა და მასთან ერთად დარბაზს მიაშურა. ოლიმპიადის წინა დღეებში ეს, ფაქტობრივად, მისი ერთადერთი ვარჯიში იყო.

13 აგვისტოს, დილის 6 საათზე შოთა ხაბარელმა და გურამ რატიშვილმა ირაკლის ასაწონად უხმეს. წონის პრობლემა არ ჰქონია. პეკინში რომ ჩავიდა, სულ ცოტა ჰქონდა დასაკლები და ნელ-ნელა დაიკლო ეიდეც. ზურაბ კახაძ-რიმშვილმა დილითვე უთხრა: „აბა, ირაკლი, ვიცი, რომ დღეს ჩემპიონი ხდები, რაც შემეძლო დაგეხმარე, მე შენ აღარ გჭირდები. დღეს მე კვირკველიას უფრო უჭირდები, იქნებ ისიც გახდეს ჩემპიონი“. ირაკლის, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა, რომ მთავარმა ექიმმა მაინცდამაინც შეჯიბრების დღეს მიატოვა, მაგრამ რაღაც უნდა ექნა.

ჯერ კიდევ კენჭისყრამდე გარკვეული იყო, რომ დადგენილი წესის თანახმად, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტები ერთმანეთს ფინალამდე არ შეხვდებოდნენ (თუ, რა თქმა უნდა, ფინალამდე მიაღწევდნენ). ეს იმას ნიშნავდა, რომ ირაკლი ცირკებისა და ჯარჯი ზვიადაურის გზები ფინალამდე არ გადაიკვეთებოდა. ირაკლის ყველაზე მეტად კორეელ სუნ-პო ჩილისთან და ოლიმპიურ ჩემპიონთან, ჰოლანდიელ მარკ ჰუიზინგასთან შეხვედრა არ უნდოდა, რადგან მათ ყველაზე რთულ მეტოქებად მიიჩნევდა.

90 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის განაცხადში სულ 31 ძიუდოისტი იყო. კენჭისყრით მხოლოდ ერთ მათგანს მოუწევდა პირველ წრეში დასვენება. შეიძლება ითქვას, რომ ირაკლის გაუმართლა, რადგან ის „დასვენებული“ თავად აღმოჩნდა, მაგრამ, როდესაც კენჭისყრის ბადეს გადახედა, აღმოაჩინა, რომ პირველივე შეხვედრა კორეელთან უნევდა, თუ ის მოახერხებდა ეგვიპტელი ჰეშამ მესბაპის დამარცხებას. ეგვიპტელი იმდენად კარგად მომზადებული აღმოჩ-



ნდა, ჩოიმ მას ვერაფერი მოუხერხა. მესბაჲმა გამარჯვება მეტოქის გაფრთხილებით მოიპოვა და მომდევნო წრეშიც ის გავიდა.

მოკლედ, ოლიმპიადაზე ირაკლი ცირეკიძის პირველი მეტოქე გახდა ეგვიპტელი ჰემამ მესბაჲმი. მწვრთნელთან ერთად შემუშავებული სტრატეგიის თანახმად, მთავარი იყო ბოლომდე ყურადღებით ეჭიდავა, წამითაც არ მოდუნებულიყო. შეცდომის უფლება არ ჰქონდა. ირაკლიმ ამოცანას თავი კარგად გაართვა და მეტოქე გაფრთხილებით დაამარცხა.

მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ ელხან მამადოვთან უწევდა ბრძოლა, სწორედ იმ მამადოვთან, რომელთანაც ოთხი თვის წინ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი წააგო. ირაკლიმ კარგად გაითვალისწინა მაშინდელი შეცდომა და ტაქტიკაც შესაბამისი შეარჩია. შეხვედრის დაწყებიდან სულ რაღაც წუთნახევარი იყო გასული, როცა მეტოქეს კიმონოში მაგრად ჩასჭიდა ხელი, თავისკენ მოიზიდა, მერე ფეხი გამოსდო და იპონზე დასცა. რევანში სრულფასოვანი გამოდგა. ამ გამარჯვებამ ჩევენი ფალავანი ოლიმპიადის ნახევარფინალში გაიყვანა, სადაც კარგად ნაცნობი რუსი ძიუდოისტი ივან პერშინი ელოდა.

წინასწარი შეხვედრები დაახლოებით 2 საათზე დამთავრდა. ფინალური ეტაპი, რომელიც ნახევარფინალურ შეხვედრებსაც ითვალისწინებდა, საღამოს 5 საათზე იწყებოდა, ამიტომ დასასვენებლად საქმაო დრო ჰქონდა. ბიჭები მოსათელ დარბაზში იყვნენ შეკრებილები, მაგრამ ირაკლის მომავალ შეხვედრაზე არავინ არაფერს ამბობდა. სალაპარაკო თემა ისევ საქართველო და ომი იყო. ამ დროს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ტელევიზორს იყო მიჯაჭვული. ხალხს ომის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, ოლიმპიადის ახალი ამბებიც აინტერესებდა. საქართველოში უკვე იცოდნენ ცირეკიძის ნახევარფინალში გასვლის ამბავი. ცხადია, ირაკლი გრძნობდა, რა ხდებოდა მის გარშემო, როგორი დაძაბულები იყვნენ პეკინში ქართული დელეგაციის წევრები. თბილისიდან ზარები არ წყდებოდა. ურეკავდნენ დელეგაციის ოფიციალურ პირებს: „გადაეცით ცირეკიძეს, პერშინს უნდა მოუგოს“. რეკავდნენ მთავრობის წარმომადგენლები: „შოთა ხაბარელს გადაეცით, ამ შეხვედრის წაგება არაფრით არ შეიძლება. აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ“. ირაკლის ეს ყველაფერი ესმოდა, თუმცა უშუალოდ მას არაფერს ეუბნებოდნენ: მოვიდოდნენ, რაღაცნაირად შეხედავდნენ და გაეცლებოდნენ. ან რა უნდა ეთქვათ — ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. თვითონაც კარგად იცოდა, სად იყო და ვის ეჭიდავებოდა. პერშინს კი არა, ოლიმპიადის ნახევარფი-



ՈՂԱԿԱՆՈՒ ԿՈՐԴԵԿՈՒՅ
ՑԵՍԱԾԱԿԱՆ ՖԱ
ՇՅՈԼՄԱՆ ԵՐՏԱԳ

նալშու զուսաց ար սնճա դաժիգեցօնդա, սյան ար դանեցված դա ցար-եմալս ար դապրու-
ճա. մացրամ սնոռու քըրմինտան սեցա „անցարոմեծոն“ քյոնճա ցասասնոռյեծյոլո.

...ամասօնձանու ցագամնցպեցու շեխցեգրյեծու դրու մրածլուց առաջ տպակա ժո-
ւդոնս ճարճաճին յարտցելու հիշուլյեծրուց ցաւուլուց նայլեծնու ոյցնեն. սայմե ուս արուս, րոմ թյուսգրագ ամ ճրուս, օղոնճ քյունինու սեցա յնանին, յուգեց
յրտու յարտցելու սպորտկամենու — ծյունյուլ-րոմայլու սկրուլուս մոժուգաց մա-
նուինար կարկացելու օձրժոնդա ռլումբուրու ոյրուս մեցլուստցուս. ցյուլշեմագյու-
ցարտա յրտու նանուլու կարկացելուս ցամուսցուաս ազցենյեծդա տցալս ճա ժուգոնս
կցուրնուրնու մաժոն ցագմոնոնացուլա, րուցա մանուինարմա ցոնալուց մրոցու ճա ռլում-
թուրու հիմքունու ցաեցա... ճա առ, սանուցար մունանտան սյուլ աելուս ոյց որակու-
ցուրեցուց, րոմելուց նաեւցարգունալուս նոն սիցուլու սոմմցուց ոնարհյունեծ-
ճա. յս ամիացու օմեցունաճ ցանանցունդա շուտա սածարցլս, րոմելուց ցրծնոնճա,



ირაკლი ცირევიძის დედა
ქალბატონი ზეინაბი და
პატარა ელენე

რომ ფსიქოლოგიური უპირატესობა აშეარად ცირევიძის მხარეს იყო. რაღა უნდა ეთქვა მისთვის გარდა იმისა, რომ კიდევ ერთხელ შეეხსენებინა: „ხომ გახსოვს, შეგიძლია გახდე პირველი ქართველი ძიუდოისტი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატიც მოგებული აქვს და ოლიმპიადაც“. ირაკლის ეს სიტყვები უკვე იმდენჯერ ჰქონდა მოსმენილი, რომ შეხსენება აღარ სჭირდებოდა. ისე-დაც მყარად ჰქონდა გონიერაში ჩაჭედილი — აუცილებლად უნდა გამხდარიყო ოლიმპიური ჩემპიონი. ირაკლი ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ხაბარელი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ უაღრესად საპასუხისმგებლო მომენტში ირაკლის ნერვები სრულ ნესრიგში ჰქონდა. თვითონ უფრო ნერვიულობდა. ახ-სენდებოდა წინა ბრძოლები, როდესაც ტატამზე გასვლის წინ ირაკლის მითითებებს აძლევდა: „აბა, ირაკლი, შენ იცი, ასე გააკეთე, ისე გააკეთე“, ირაკლი კი წყნარად პასუხობდა ხოლმე — „კაი, დიმიტრიჩ“. მერე გავიდოდა ტატამზე

და შოთაც ხვდებოდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო. თითქოს მის მონაფეს ნერვის ნატამალიც არ გააჩნდა.

მაგრამ ეს უკვე წარსულია. მთავარი ახლა იწყება. ნახევარფინალი — ქართველი ირაკლი ცირეკიძე რუსი ივან პერშინის წინააღმდეგ. მეტოქეები დარბაზის კუთხეში დგანან და ტატამზე გასასვლელად ემზადებიან. ირაკლიმ იგრძნო, რომ პერშინი საკმაოდ ნერვიულობდა. ამას უცხო თვალიც იოლად შეამჩნევდა — რუსი ძიუდიოსტი თითქოს ცახცახებდა. მას კარგად ახსოვდა ცირეკიძეს-თან ადრე ჩატარებული შეხვედრები. აქამდე ერთმანეთთან სამჯერ ეჭიდავათ. მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატამდე ცირეკიძემ პერშინს პრალის მსოფლიოს თასზეც მოუგო. მესამედ კი მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატიდან ერთ თვეში, ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. იმ ბოლო შეხვედრის შემდეგ პერშინი ისეთი გახარებული იყო, თითქოს გამარჯვება მოეპოვებინოს. არადა, ბრძოლა ფრედ დასრულდა. პერშინისთვის ეს შედეგი მოგების ტოლფასი იყო. გუნდური შეჯიბრებისგან განსხვავებით, ოლიმპიადაზე ფრე გამორიცხულა. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დრო ინიშნება.

დაიწყო თუ არა ნახევარფინალი, ირაკლიმ პერშინის სახიფათო იერიში მოიგერია, მერე კი თავად შეუტია. 55-ე წამზე ქართველის ილეთი კოკათი შეფასდა, ათიოდ წამში კი ცირეკიძემ მეტოქის გდებისთვის კიდევ ერთი კოკა აიღო. დარბაზში გარკვევით ისმოდა რუსი გულშემატკიცრების შეძახილები: „ვან-ია, ვან-ია“, მაგრამ იმ დღეს ვანია უშანსოდ იყო — ცირეკიძე კიდევ უფრო გააქტიურდა, მეტოქე ჩიქებჯენში გადაიყვანა, იქვე შებოჭა და 2 წუთსა და 16 წამში წმინდა გამარჯვება და ფინალის საგზური მოიპოვა. მეორე ნახევარფინალში შავკანიანი ფრანგი მეთიუ დაფრევილი და ალჟირელი ძიუდიოსტი ამარ ბენიხლეფი ხვდებოდნენ. ფავორიტად ფრანგი მიიჩნეოდა, მაგრამ, მოულოდნელად, ალჟირელმა იმარჯვა და თავისი ქვეყნის ისტორიაში გახდა პირველი ძიუდოსტი, რომელმაც ოლიმპიადაზე მედლის მოპოვება შეძლო. ფინალში გასვლა ხომ ავტომატურად ნიშნავდა მინიმუმ ვერცხლის მედალს. არადა, ბენიხლეფის ფინალში გაღწევა მართლაც სენსაცია იყო. ასეთ წარმატებას, ალბათ, ალჟირის ნაკრების მწვრთნელებიც არ ელოდნენ, თუმცა ვერავინ იტყოდა იმას, რომ ბენიხლეფი ფინალში დაუმსახურებლად გავიდა. საერთოდ, აფრიკელი ძიუდოსტები ილიმპიადისთვის ძალიან კარგად იყვნენ მომზადებულნი. დაფრევილის გარდა, ბენიხლეფმა ფინალის გზაზე ისეთ ძლიერ ძიუდიოსტებს მოუგო, რო-



გორებიც იყვნენ ესპანელი დავიდ ალარზა და შვეიცარიელი სერგეი აშვანდენი, რომელმაც მანამდე აჯობა ილიას ილიადისის მომგებ ჰოლანდიელი მარკ ჰუიზინგას. კიდევ ერთმა აფრიკელმა, ეგვიპტელმა ჰეშამ მესხაშვილი კი ოლიმპიადაზე ერთადერთი შეხვედრა დათმო, ისიც ცირეკიძესთან. ცირეკიძესთან მარცხის შემდეგ მესბაში რეპეშაუში გადაერთო და ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა აზერბაიჯანელი მამადოვი და ბელორუსი კაზუსიონაკი, მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი ფრანგ დაფრევილს სძლია.

პერშინის დამარცხების შემდეგ, ფინალის წინ, ცირეკიძეს ისეთი განწყობა დაეუფლა, თითქოს ოქროს მედალი უკვე მოპოვებული ჰქონდა. საერთოდ, ტატარშე გასვლამდე თავს არ ინუსტებდა იმაზე ფიქრით, თუ როგორ ეჭიდავა მოწინააღმდეგესთან. შეხვედრების წინ ძიუდოზე საერთოდ არ ლაპარაკობდა. შევიდოდა ტატარშე, ხელს წაავლებდა მეტოქეს და მხოლოდ მერედა ფიქრობდა, რა მოემოქმედებინა მის წინააღმდეგ. ამჯერადაც ასე იყო. უყურებდა მის გარშემო გახარებულ ქართველებს და ფიქრობდა, რომ ყველაფერი დასრულდა. არადა, წინ ოლიმპიური ფინალი ელოდა — ყველაზე მთავარი ბრძოლა სპორტულ კარიერაში.

...ფინალი ფინალს არ ჰგავდა. თითქოს მაყურებლები, ორგანიზატორები, მსაჯებიც და თვით ალჟირელი ძიუდოისტიც კი შეგუებულნი იყვნენ, რომ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ილამპიური ჩემპიონიც გახდებოდა. ფინალის წინ დარბაზში ქართველი გულშემატკივრების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. მანუჩარ კვირკველიას პირველი ქართული ოქროს მედალი უკვე მოეპოვებინა და ქომაგები ახლა უკვე მეორე ოქროს მედლის საზეიმოდ იყვნენ განწყობილი.

ალჟირელი ძიუდოისტი ფინალში გასვლითაც ძალიან ბეჭნიერი ჩანდა. შოთა ხაბარელი ირაკლის სიფრთხილისკენ მოუწიოდებდა. შეხვედრის დასაწყისში მსაჯმა ბენიბლეფი გააფრთხილა. ირაკლი, ამჯერად, ისეთი აქტიური არ იყო, როგორიც წინა შეხვედრებში, ერთ ეპიზოდში კი ბეწვზე გადარჩა. ალჟირელმა ქართველს შეუტია, თითქოს გდება გარდაუვალი იყო, მაგრამ ირაკლიმ სასწაულებრივად დაიძერინა თავი ურთულესი მდგომარეობიდან. გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს. ირაკლიც უმალ გონს მოვიდა, ამის შემდეგ დამაჯერებლად მოქმედებდა, ფრთხილად და დაფიქრებულად ჭიდაობდა, უპირატესობა შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნა და გაიმარჯება. პერშინთან ნახევარფინალმა იმდენი ემოცია წაიღო, რომ ამჯერად სიხარული განსაკუთრებულად აღარ გა-



თრაკილი ცირკეიძემ
2011 წლის მსოფლიო
ჩემპიონატზე ბრინჯაოს
მედალი აიღო

მოუხატავს. ყველაზე მეტად დარბაზში ახლად მოსული ქართველები ხარობ-დნენ, რომლებმაც პერშინთან შეხვედრა ვერ ნახეს.

ალექსირელმა ძიუდოისტმა ქართველს გამარჯვება მიუღოცა, ცოტა ხანში კი ფინალისტები უურნალისტების ალყაში აღმოჩნდნენ. მერე იყო დაჯილდოების ცერემონიალი. ირაკლი კვარცხლებეგზე შავი ლენტით ხელში ავიდა და მისი ეს ჟესტი ყველასთვის გასაგები იყო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისი ოქროს მედა-ლი რუსეთთან ოში დაღუპულ თანამემამულეთა სსვნას მიუძღვნა. პოლიტი-კური ელფური დაჯილდოების შემდეგ ჩატარებულ პრესკონფერენციასაც დაპ-კრავდა. გერმანელმა უურნალისტმა ირაკლის სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა იმ ჟესტზე, რომელიც მაყურებლებმა პერშინთან გამარჯვების შემდეგ იხილეს. პრესკონფერენციის წამყვანი ცოტა დაიბნა, შემდეგ კი საპრესკონფერენციო დარბაზში მყოფ უურნალისტებს სთხოვა, რომ პოლიტიკასთან დაკავშირებულ შეკითხვებს ნუ დასვამდნენ და რომ შეკითხვები მხოლოდ შეჯიბრებას უნდა შეხებოდა. გერმანელ უურნალისტს მსარი მის გვერდით მჯდომარეობა იტალიელმა აუბა და წამყვანს მოახსენა, რომ მისი კოლეგის შეკითხვა სწორედ შეჯიბრებას



ეხებოდა. წამყვანმა ალარ იცოდა რა ექნა, საბოლოოდ კი განაცხადა: „მაშინ, თუ ცირეკიძეს სურს, შეუძლია უპასუხოს ამ კითხვას“. ირაკლიმ თავი შეიკავა, რა-საც დარბაზში მყოფმა ჟურნალისტებმა აპლოდისმენტით უპასუხეს. მედიის წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიტუაციიდან გამოიყვანა პრესკონფერენციის წამყვანი. ისედაც ყველამ კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა პერშინთან გამარჯვების შემდეგ ცირეკიძის მიერ GEO-სკენ მიმართული ორი ცერა თითი. კმაყოფილი ჩანდნენ გერმანელი და იტალიელი ჟურნალისტებიც.

პრესკონფერენციაზე ცირეკიძით კმაყოფილი დარჩა ვერცხლის მედლის მფლობელი ალექსირელი ამარ ბენიხლეფიც. როდესაც ირაკლის პეტრეს, ფინალში, ალბათ, უფრო ძლიერ მეტოქესთან შეხვედრას ელოდითო, ირაკლიმ უპასუხა, რომ მას ფინალში ღირსეული მეტოქე ჰყავდა და ის არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვა ძიუდოისტებს. ალექსირელ სპორტსმენს სახე გაებადრა, წამოდგა და ცირეკიძეს ხელი ჩამოართვა.

ძიუდოს სპეციალისტებმა ცირეკიძის ძალა ჯერ კიდევ წინა წელს გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ირწმუნეს, როდესაც ქართველმა ძიუდოისტმა ექსივე შეხვედრა ისე მოიგო, რომ ვერც ერთმა მონინაალმდეგებზე კოკაც ვერ აართვა. პეტრიში ცირეკიძემ ოთხი შეხვედრა ჩაატარა და შედეგი ანალოგიური იყო. მსოფლიოს ჩემპიონატზეც და ოლიმპიადზეც, ირაკლი ცირეკიძე მხოლოდ ტაქტიკურ გაფრთხილებებს იღებდა, მომგებიანი ქულის მოპოვების საშუალებას კი არავის აძლევდა.

ჩემპიონობის მეორე დღეს პეტრიში, ძიუდოს დარბაზში ირაკლი ცირეკიძეს ის რუსი გულშემატკივრებიც თბილად მიესალმნენ, წინა დღით „ვანია, ვანიას“ რომ ყვიროდნენ. მათ ირაკლის გამარჯვება მიულოცეს, ჩემპიონთან სურათებიც გადაიღეს და უთხრეს, რომ ფინალში უკვე მას გულშემატკივრობდნენ.

მოგვიანებით, შოთა ხაბარელმა და ირაკლიმ ფინალის ის მომენტი ვაიხსენეს, ბეწვზე რომ გადაურჩა ალექსირელის გდებას. ირაკლიმ შოთას უთხრა: „იცი, დიმიტრიჩ, მართლა სასწაულად გადავრჩი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ომარ მერაბიშვილმა ხელი იმ ქვეყნიდან შემაშველა, თითქოს კიმონოში ჩამეჭიდა და დავარდნას გადამარჩინა.“

ირაკლი ცირეკიძე

დაიბადა 1982 წლის 3 მაისს ახალსოფელში, ტყიბული. ძიუდოიოსტი (90, 100 კგ). XXIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (2008, პეკინი), მსოფლიოს ჩემპიონი (2007) და ბრინჯაოს პრიზიორი (2011), ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის (2007) და ორგზის ბრინჯაოს (2008, 2011) პრიზიორი. მსოფლიოს ორგზის გუნდური ჩემპიონი (2006, 2008) და ევროპის გუნდური ჩემპიონი (2007). ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენების კავალერი.



IRAKLI TSIREKIDZE

Judoist (90, 100 kg) was born on May 3, 1982 in Akhalsopheli village (Tkibuli). Tsirekize is a champion of the XXIX Olympic Games (2008, Beijing), world champion in 2007 and bronze medalist in 2011. He is a silver medalist (2007) and twice bronze medalist (2008, 2011) of European championships. Tsirekidze is a twice world champion in a team contest (2006, 2007) and winner in the team contest at the European championship in 2007. Tsirekidze is decorated by Vakhtang Gorgasali order of the 2nd rate and by the Order of Honor.